# ალია

## მეცნიერებმა დაასახელეს 5 სიმპტომი, რომელიც სიმსივნეზე მიუთითებს

12

N173/3295/ 13-16 ნოემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

# საგარეჯოს არჩევნებმა ხელისუფლება ორად გაყო

დახურულ სხდომაზე წულუკიანს ხიდაშელისთვის უთქვამს, — განა ღირდა კი, საგარეჯოში ეს გამარჯვება ამ პრობლემად?!. ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია და ირმა ინაშვილი მართალია, სპეცუბანში ჯარისკაცების რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი და ეს გამარჯვება რეალურად ირმა ინაშვილს ეკუთვნოდა




5



# თაღლითობის სამი ახალი სქემა!

9

## 150 პარლამენტარიდან, 44-ის გარდა ყველა გაღორებულა?!



7

## კახა კუკავა: „აბა, რა ჯანდაბად მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელმაც საშიმშილოდ გამიხადა საქმე და იმდენად გკიდივარ ფეხებზე, რომ მოსაკითხადაც არ მოდის“



11

### google-მა თვითმართვადი ავტომობილი წარმოადგინა



15

### მითები ხილის შესახებ



16

### რა ნივთებია სასტუმროში კლეპტომანებისთვის ყველაზე პოპულარული



15

### ერთი დღე დედამიწის ცხოვრებიდან



15

### მომავლის ანესთეზია: ჰიპნოზი ნარკოზის ნაცვლად



16

## „ალია“ მადლობას უხდის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას იმისთვის, რომ ხედავს და აფასებს ჩვენს საქმიანობას!


ა.ა.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“

მადლობის სიგელი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
მედიამხარდაჭერისთვის

ეძლევა
გაზეთ „ალია“

ზაზა ხატიაშვილი
ა.ა.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე
07.11.2015



## ხადურმა, მასწავლებლებს ხელფასები გაეზრდებათო, რამდენით — არ აკონკრეტებს... დავიანგარიშეთ და აი, რა გამოვიდა...



ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის ინფორმაციით, მომავალი წლისთვის პედაგოგებს ხელფასი გაეზრდებათ. როგორც ფინანსთა მინისტრმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, პედაგოგთა ხელფასები 70 მილიონი ლარით იზრდება.

– ხელფასი პედაგოგებისთვის მიმდინარე წლის სექტემბრიდან გაიზარდა და ხელფასების ზრდა კიდევ მომავალი წლის აპრილშია დაგეგმილი. საბაზო ხელფასი 400-450 ლარი ხდება, – განაცხადა ხადურმა პარლამენტის სხდომაზე. (bpn.ge)

**რა მაგრად ჟღერს — პედაგოგთა ხელფასები 70 მილიონით იზრდება...**

**სინამდვილეში ზრდა უმნიშვნელო იქნება და აი, რატომ:**

**ჯერ კიდევ 2014 წლის ნოემბერში განათლების სამინისტროში ამბობდნენ, რომ 2015 წლის სექტემბრისთვის პირველადი ზრდის შედეგად მასწავლებლის საბაზო ხელფასი — მინიმუმ 377, ხოლო მაქსიმუმ 481 ლარი იქნებაო.**

**ახლა რას ამბობს ხადური? რას და 2016 წლის აპრილისთვის პედაგოგების საბაზო ხელფასი 400-450 ლარი ხდებაო.**

**რას ნიშნავს საბაზო ხელფასი და: ეს არის საწყისი ხელფასი, რომელიც შემდეგ მრავლდება პედაგოგის საათობრივი დატვირთვის კოეფიციენტსა და თანამდებობრივ სარგოზე, რომლის მიხედვითაც მიიღება მასწავლებლის საბოლოო გასამრჯელო. თუ პედაგოგის საბაზო ხელფასი გაუთანაბრდება 700 ლარს, ეს იმას ნიშნავს, რომ სრული დატვირთვის მქონე მასწავლებლის ხელფასი 1 000 ლარზე მეტი იქნება.**

**მოკლედ, რამდენითაც არ უნდა გაიზარდოს პედაგოგის ხელფასი, გამორიცხულია, 1000 ლარს მცირედით მაინც მიუახლოვდეს. ასე განადგურებული და გაუფასურებული ეროვნული ვალუტის პირობებში 1000 ლარიც არაფერია, თუმცა ამ ხელფასზეც, სამწუხაროდ და საუბედუროდ, მასწავლებლებს დაუდგენელი დროით მოუწევთ ოცნება.**

**კარგად ჟღერს 70 მილიონი, კარგად ჟღერს არჩევნების მოახლოების ფონზე პედაგოგებისთვის ხელფასების მომატების თემის წამოწევა, მაგრამ რეალური სასიკეთო ცვლილება ფაქტია, ძალიან შორსაა...**



## ფიქრია ჩიხრაძე: პრეზიდენტის სასახლეში ყოფნა სამართლებრივად აბსოლუტურად გამართულია



– პრეზიდენტის ამ სასახლეში ყოფნა სამართლებრივად აბსოლუტურად გამართულია, – ამის შესახებ ჟურნალისტებს პოლიტიკურ საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა ფიქრია ჩიხრაძემ განუცხადა. მისივე მტკიცებით, ქვეყნის პირველი პირი არ დაუშვებს, ამ საკითხთან დაკავშირებით სამართლებრივი სივრციდან გავიდეს.

– მე ვფიქრობ, აქ ყველაფერი ნათელია სამართლებრივი თვალსაზრისით. პრეზიდენტი არასოდეს არ დაუშვებს იმას, რომ ის იყოს სამართლებრივი სივრციდან გასული და მე მგონი, ეჭვიც არავის გეპარებათ იმაში, რომ პრეზიდენტის ამ სასახლეში ყოფნა სამართლებრივად აბსოლუტურად გამართულია, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტის უარს ათონელის რეზიდენციაში გადასვლასთან დაკავშირებით „ცინიზმის ძალიან მაღალ დონედ“ აფასებს. როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, „ეს უნდა დასრულდეს და დასრულდება, იმის მიუხედავად, მას ეს სურს თუ არ სურს“. (bpn.ge)

**ჰო, სამართლებრივად კი, ბატონო, გამართული შეიძლება არის და შეუძლებელია, პრეზიდენტი ვინმემ ძალით გამოასახლოს რეზიდენციიდან, მაგრამ...**

**(ზოგჯერ როგორი მაგარია, ეს „მაგრამ“ რომ არსებობს):**

**...მაგრამ ქალბატონო ფიქრია, პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ არ დარჩებოდა ავლაბრის რეზიდენციაში და ალბათ, უნდა დაგვეთანხმოთ, თუ გეტყვით, რომ, როცა უმაღლესი თანამდებობის მქონე პირი ელემენტარულ პირობას არ ასრულებს, ძააააალიან ცუდად აისახება ეს მის ავტორიტეტზე.**

**...მაგრამ ქალბატონო ფიქრია, თუ „ქართული ოცნება“ დაუკრეფავში გადადის და „მიზეზ, მიზეზ დოს მარილი აკლიას“ ვარიანტია, გონიერმა პოლიტიკოსმა ხომ უნდა დაუსვას ამას წერტილი? როგორ და დათმოს — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისგანაო!**

**...მაგრამ ქალბატონო ფიქრია, ქვეყანას რომ საკმაოზე მეტად სერიოზული ეკონომიკური პრობლემები აქვს, ხალხი ღატაკია, უბრალოდ, კეთილშობილური ჟესტის გამო მაინც უნდა დატოვოს პრეზიდენტმა საakაშვილის ხუშტურებით აშენებული ეს ვეებერთელა სასახლე!**

**...მაგრამ ვხედავთ, რომ ლაპარაკს არანაირი აზრი არ აქვს — გგონიათ, რომ ავლაბრის რეზიდენციის დატოვება მარგველაშვილს უკანდახევად ჩაეთვლება და იმიტომ.**

**ცდებით!!!**

## ევროპამ აქეთ უნდა მიბაძოს საქართველოს და აქეთ უნდა ვარიგოთ ჭკუა ადამიანის უფლებებზე!



საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, სოზარ სუბარის განცხადებით, საქართველო სირიელ მიგრანტებს უკვე იღებს. ამის შესახებს სუბარმა ევროპარლამენტის დეპუტატის, ანდრეი მამიკინსის საპასუხოდ განაცხადა, რომელმაც აზერბაიჯანულ გამოცემასთან ისაუბრა, რომ საქართველომ შესაძლოა სირიელი მიგრანტები მიიღოს.

– ჩვენმა მეგობარმა ევროპარლამენტარმა გამოხატა თავისი სურვილი, რის საპასუხოდაც ვიტყვი, რომ ამას უკვე ვაკეთებთ. ამის შესახებ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ბატონ მუჟნიევსკის როდესაც მივაწოდე ინფორმაცია, გაოცებული იყო ამ ციფრების ნახვით და თქვა, რომ გაცილებით განვითარებული ქვეყნები ამ ციფრებზე ვერ გადის და არ გადის. ჩვენ, ცხადია, ამას ვაკეთებთ ყოველგვარი ორმხრივი ვალდებულების გარეშე, ჩვენი ადამიანური ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაგრამ დიდი სიამოვნებით გვექნება დიალოგი ევროკავშირის წარმომადგენლებთან, რათა გავაცნოთ ის, რასაც ვაკეთებთ და ის, რასაც ვაპირებთ, – განაცხადა სუბარმა.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც საომარი მოქმედებები დაიწყო სირიაში, ერაყსა და უკრაინაში, საქართველომ გაამარტივა და დააჩქარა ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მიცემის პროცედურები და უმრავლეს შემთხვევაში უარს არ ეუბნება მიგრანტებს ლტოლვილის სტატუსის მიცემაზე, თუ ძალიან სერიოზული ეჭვები არ არსებობს.

– 4 ათასზე მეტი ლტოლვილი შემოვიდა. მათგან უმრავლესობამ საქართველო თვითონ დატოვა, ანუ არ მოინდომა აქ სტატუსის მიღება, ხოლო ვინც დარჩა, იქიდან 1038-მა უკვე მიიღო თავშესაფარი შესაბამისი სტატუსით. უარი ეთქვა მხოლოდ 327-ს და 296 საქმე ამ წუთში არის განხილვაში. ამ 1038-დან ვინც მიიღო თანხმობა, ერაყელი არის 387, ესენი არიან იეზიდები და ქურთები. უკრაინიდან არის 273 ლტოლვილი, სირიიდან კი – 49. სირიელების უმრავლესობამ თვითონ თქვა უარი სტატუსის მიღებაზე, რადგან მათ გეზი ჰქონდათ მაინც ევროპისკენ და საქართველოში როცა ჩამოდიოდნენ გათვლა ჰქონდათ, რომ აქედან თავისუფლად მოხვდებოდნენ ევროპაში. შემდეგ აღმოაჩინეს, რომ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ საქართველო აღიარებულია როგორც უსაფრთხო ქვეყნად და აქ დამკვიდრების შემთხვევაში არ ეძლევათ მესამე ქვეყანაში თავისუფლად გადასვლის საშუალება. ამის შემდეგ მათ თვითონ დატოვეს ქვეყანა, – განაცხადა სუბარმა. (ინტერპრესნიუსი)

## კუკუდამალობანა გრძელდება — ურთმელიძემ გვარამიას „რ2“-ის შეფობა აღუდგინა





ქიბარ ხალვაშის ადვოკატ პაატა სალიას ინფორმაციით, სასამართლომ დროებით მმართველებს შეუჩერა უფლებამოსილება და სანამ ეს ასეა, მოქმედებს გვარამიასა და დამენიას უფლებამოსილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ლევან ყარამანიშვილის, გიორგი ყარამანიშვილის და შპს „ტელეკომპანია საქართველოს“ წარმომადგენლების საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინებასთან დაკავშირებით, ამავე სასამართლოს 2015 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე.

ნიკა გვარამიას განცხადებით, ეს არის ხრიკი საკონსტიტუციო სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად:

– გადაწყვეტილება არის იმ დაბურული, უღრანი ტყის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემ შექმნა. ჯერ ერთი, გაუგებარია, რა საჩქარო იყო, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის კონსტიტუციურობასა და შეჩერება-არშეჩერების საკითხზე მსჯელობს. სინამდვილეში, ამ გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანია, რომ ახლა საკონსტიტუციო სასამართლოზე გაჟღერდეს, აღარ არის ზიანის საფრთხე და შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს დაუსაბუთონ, რომ ზიანის საფრთხე აღარ არსებობს, რადგან ამოწურულია პრობლემა. ამ განჩინებით, დვალი საერთოდ განარიდეს პროცესებს, ვულოცავ ბატონ დვალს, იქნებ, გადარჩეს. დატოვეს საყევარიშვილი, რომელსაც დვალზე არანაკლები საფუძველი აქვს, რომ იყოს მიკერძოებული, იმიტომ, რომ ის არის ჩვენი მთავარი კონკურენტის წარმომადგენელი, მას დღემდე ხედავენ ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში. ის რამდენიმე დღით ადრე გადადგა დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან. ეს ადამიანიც მიკერძოებული იყო და ისიც უნდა გაეთავისუფლებინათ. თავისთავად ცხადია, ეს გადაწყვეტილება არაფერს ნიშნავს, რადგან ეს განჩინება საჩივრდება ისევ ურთმელიძესთან. დღეს საკონსტიტუციო სასამართლომ თუ უარი განაცხადა ნორმის შეჩერებაზე, ზეგ ურთმელიძემ ახალი განჩინება გამოიტანოს და თქვას, – ხელახლა შემომყავს დროებითი მმართველებიო. ეს არის სრული სამართლებრივი დომხალი! მოვუწოდებ საკონსტიტუციო სასამართლოს, მაქვს ამის უფლება, ეს გადაწყვეტილება არის აბსოლუტური ფიქცია, რომელიც შექცევადია ხვალვე. ამაზე დაყრდნობით არ შეიძლება უარის თქმა იმაზე, რასაც ჰქვია იმ ნორმების დაუყოვნებლივ შეჩერება, რომელიც გასაჩივრებული გვაქვს სასამართლოში. ეს არის ხრიკი საკონსტიტუციო სასამართლოს შეცდომაში შესაყვანად, – განაცხადა გვარამიამ. (აიპრესი, რეპორტიორი)

**როგორი მზრუნველია ბატონი ნიკოლოზი — იმედია, დვალი გადარჩებაო...**

**ურთმელიძეც ნამეტანი მზრუნველია — აღარ ანერვიულებს „რუსთავორელებს“, „ნაცმოძრაობას“ და შესაძლოა, დედაც კი აღიაროს ოჯახის წევრად...**

## არ გვაქვს ლარზე კარგი ამბები...



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, 13 ნოემბერს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,4020 ლარი გახდება. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც 12 ნოემბრისთვის მოქმედებდა, 2,3982 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0038 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში მცირედით გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5749 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2,5766 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0017 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გიორგი მოსიძეს ჟურნალისტებთან ურთიერთობის საოცარი უნარ-ჩვევები ჰქონია! ყურადღება, შეკითხვა: რატომ დუმხართ?!



ტელეკომპანია „ჯიდიესის" გადაცემა „არაკორექტულ შოუს" საკითხს ნიკა გვარამია კიდევ ერთხელ ეხება. გვარამიას თქმით, 10 ნოემბრის გადაცემა, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ეხებოდა, არა მარტო „რ2"-ის თანამშრომლებმა, არამედ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამაც შეურაცხმყოფელად მიიჩნია. მისი თქმით, ის არხის თანამშრომლების კატეგორიული მოთხოვნის თანახმად არ აპირებს ტელეკომპანიის ტერიტორიაზე დაუშვას ამ გადაცემის ერთ-ერთი ავტორი და ამავდროულად „რა? სად? როდის?" კლუბის წევრი ალექსანდრე ლორთქიფანიძე. ლორთქიფანიძის პერსონა ნონ გრატად გამოცხადების შესახებ გვარამია „რა? სად? როდის?" წამყვანსაც აფრთხილებს:

– უხამს შეურაცხყოფას არავითარი კავშირი არ აქვს სიტყვის თავისუფლებასთან. და ამას ჩვენ კი არ ვამბობთ, ამ უხამსობით დაზარალებულია არა „რ2", არამედ მიუკერძოებელი მესამე მხარე, რომლის წევრები არც კი ვართ. ალექსანდრე ლორთქიფანიძის პირადი საქმეა „რ2"-ის მიმართ მისი დამოკიდებულება და არავინ არ/ვერ შეუშლის ხელს, ისე გამოხატოს ეს დამოკიდებულება, როგორც სურს, მაგრამ ჩემი საქმეა, არხის სახელით (და კატეგორიული მოთხოვნით) არ დავუშვა ის არხის ტერიტორიაზე და მის ეთერში, რაშიც, ასევე, ვერავინ შემიშლის ხელს. გადაწყვეტილება გადაიხედება ერთადერთ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე ლორთქიფანიძე საჯაროდ მოუხდის ბოდიშს „რ2"-ის კოლექტივს. სხვა ვითარებაში, ის ველარ მოხვდება ვერც ტელეკომპანიის ტერიტორიაზე და ვერც მის ეთერში. ცნობისთვის, გიორგი მოსიძე, – წერს ნიკა გვარამია.

ცნობისთვის, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ტელეკომპანია „ჯიდიესის" ეთერში გასული გადაცემის კანონმდებლობასა და ქცევის კოდექსთან შესაბამისობის შესწავლის თხოვნით მიმართა.

წერილში საბჭო აღნიშნავს, რომ ტელეკომპანია „ჯიდიესის" ეთერში 10 ნოემბერს გავიდა გადაცემა „არაკორექტული შოუ", რომელიც ძირითადად ეძღვნებოდა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. წამყვანის მონოლოგი გაჯერებული იყო შეურაცხმყოფელი და უხამსი ლექსიკით.

შეგახსენებთ, „ჯიდიესის" ახალი გადაცემა „არაკორექტული შოუ", რომელიც პოლიტიკური სატირის ჟანრისაა, მოაზროვნეთა კლუბის წევრებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. „რუსთავი 2"-ის გენდირექტორის ნიკა გვარამიას გულისწყრომა გადაცემის თანაავტორის ვინაობამ გამოიწვია. მისი თქმით, „რუსთავი 2"-ის პრობლემების გაშარჟების თანაავტორი „რა? სად? როდის?" მონაწილე ალექსანდრე ლორთქიფანიძეა. (ნიუპოსტი)

**ალექსანდრე ლორთქიფანიძემ თავიდანვე განაცხადა, ამ თემას უკომენტაროდ დავტოვებო, ნიკა გვარამიას პოზიცია კი ვიცით.**

**აქედან გამომდინარე, გიორგი მოსიძესთან დალაპარაკება ვცადეთ, რომელიც თავის დროზე ოპოზიციონერობდა და იმაზეც იყო საუბარი, „ქართულ ოცნებაში" ვიხილავთო.**

**ჰოდა, თავისუფალი სიტყვის მცველი, „ვანოს შოუსა" და „კომედი შოუს" პატრონი ხუმრობის გამო რომ იპუტავს ღერა-ღერა და ტელევიზიის ტერიტორიაზე აღარ შევუშვებთ ლორთქიფანიძესო, გვაინტერესებდა, რას იტყოდა ამ ყველაფერზე მოსიძე, რა ბედი ეწეოდა ალექსანდრე ლორთქიფანიძესა და ინტელექტ კლუბის ურთიერთობას.**

**აი, რა გვიპასუხა ბატონმა წამყვანმა:**

**— აუ, ახლა მსოფლიო ჩემპიონატი მეწყება და მაგ საკითხზე მეორედ აღარ დამირეკო, რა! — და გათიშა ტელეფონი.**

**ჰმ, პირველად დავრეკე და აშკარად დიდი შეცდომაც დავუშვი — სულ კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო წამყვანო! ერთი კია — თუ ოდესმე პოლიტიკაში კიდევ გიხილავთ, აუცილებლად შეგახსენებთ ხოლმე, თან ძალიან დიდი სიამოვნებით, რომ დუმილი ყოველთვის ოქრო არ არის!!!**

*მიხეილ სახვაძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## კახეთში 4 ადამიანი დაშავდა — სტიქია რეგიონებში



4 ადამიანი დაშავდა სტიქიის შედეგად კახეთში. სოფელ იორმუღანლოში ქარისგან წაქცეულ ხეს მანქანა შეეჯახა. მანქანაში მყოფმა მგზავრებმა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღეს.

ყველა მათგანი საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში გადის მკურნალობას.

ბოლო ინფორმაციით, იორმუღანლოსკენ მიმავალი ცენტრალური გზა ჩაკეტილია. სოფლის ნაწილს არც ელექტროენერგია მიეწოდება.

სტიქიის გამო მეწყერი ჩამოწვა და პრობლემებია ბაღდათი-საირმის გზაზე, სადაც მოძრაობა ასევე შეჩერებულია. ძლიერმა ქარმა ბაღდადში ხეებიც წააქცია, თუმცა იქ არავინ დაშავებულა.

უამინდობაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. არამდგრადი, წვიმიანი ამინდი 15 ნოემბრამდე შენარჩუნდება.

გარდა ამისა, სტიქიის გამო გზებზე შეზღუდვები დაწესდა:

ავტოტრანსპორტის მოძრაობა იკრძალება თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 206-ე კილომეტრზე. ადიდებულმა მდინარე ჩხარამ, ზესტაფონი-ქუთაისის დამაკავშირებელ დროებით გზას ძირი გამოაცალა და ასფალტის საფარი მთლიანად ჩამოშალა. სწორედ ამიტომ, ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით ზესტაფონი-ბაღდათი-ქუთაისის საავტომობილო გზაზე გადაერთო. მაღალმთიან აჭარაში მაშველების გამოძახებაც გახდა საჭირო.

ძლიერი ქარბუქისა და თოვლის გამო მოძრაობა დაიკეტა წალკა-ნინოწმინდის მონაკვეთზე, „ტიკმანტაჟის" უღელტეხილზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## აი, კიდევ გვპირდება მორიგი ევროპელი კარგ რამეებს და რომ არ გამოვიდეს, მერე რა გიქნათ?!



– საქართველოს ყველა შანსი აქვს, 2016 წელს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მიიღოს, – ამის შესახებ ევროპარლამენტის წევრმა, მომხსენებელმა საქართველოს საკითხზე ანდრეი მამიკინსმა აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან" საუბარში განაცხადა.

– წლის ბოლომდე ველოდებით ევროპული კომისიის ძალიან დადებით ანგარიშს. 99 პროცენტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უვიზო რეჟიმი უკვე მომავალ წელს დაწესდება, – განაცხადა მამიკინსმა.

მისი თქმით, შარშან საქართველომ, მოლდოვასგან განსხვავებით უვიზო რეჟიმი ვერ მიიღო, რაც „გარკვეული უსამართლობა" იყო. მისი მოსაზრებით, მოლდოვას სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება რუმინული ლობის ძლიერი გავლენით იყო განპირობებული. მამიკინსმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის სამ ახალ ასოცირებულ წევრს შორის, საქართველო, კანონების ჰარმონიზაციისა და ევროკავშირის პროექტების განხორციელების კუთხით „აბსოლუტური ლიდერია".

– ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია ქართველი საზოგადოებისთვის უვიზო რეჟიმის მიღება. ამას სიმბოლური მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე პოლიტიკური, – აღნიშნა მამიკინსმა.

მისივე მოსაზრებით, საქართველო ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მისაღებად კარგად მოემზადა, ამიტომ ევროპული კომისიის ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ, სავარაუდოდ, უვიზო რეჟიმი დაწესდება, რის პროცედურაც „საკმაოდ მარტივი" იქნება.

– შესაძლოა, ჩატარდეს სიმბოლური კენჭისყრა ევროპარლამენტში. თუმცა, რთული არ არის იმის პროგნოზირება, რომ დეპუტატების უმრავლესობა ამას მხარს დაუჭერს. მთავარი გადაწყვეტილება ევროპულმა პარლამენტმა 1 წლის წინათ მიიღო, როცა საქართველოს ასოცირებულ წევრობას დაუჭირა მხარი. ამიტომ, გადაწყვეტილება უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ ტექნიკური ხასიათისაა, – განაცხადა მამიკინსმა.

მისი მოსაზრებით, საქართველოსგან განსხვავებით, ევროკავშირი 2016 წელს არ დააწესებს უვიზო რეჟიმს უკრაინასთან და თურქეთთან. (bpn.ge)

## საჯარო დაწესებულებებში პრემიების შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა დანამატის მოცულობა



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საჯარო დაწესებულებებში პრემიების გაცემის შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელფასო დანამატის სახით გაცემული სახსრების მოცულობა.

პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის დინამიკაზე გენერალური აუდიტორის მოადგილემ, დევი ვეფხვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ისაუბრა, სადაც 2016 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა წარადგინა. დევი ვეფხვაძის განცხადებით, პრემიებთან დაკავშირებით მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება საკითხის დარეგულირებას ვერ უზრუნველყოფს.

– აღსანიშნავია მთავრობის №449 დადგენილება სახელმწიფო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ, რომელმაც საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში გასაცემი პრემიების მოცულობა და პერიოდულობა შეზღუდა. 2015 წლის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით პრემიის მუხლით გაცემული სახსრები შემცირდა - საშუალოდ, თვიურად 50 პროცენტით, პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა – საშუალოდ, თვიურად 36,9 პროცენტით დანამატის მუხლით გაცემული სახსრების მოცულობა. შედეგად საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან ადგილი ჰქონდა პრემიების დანამატით ჩანაცვლების ფაქტს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, ზემოაღნიშნული დადგენილება საკითხის დარეგულირებას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შემუშავდეს ქმედითი მექანიზმი საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე პრემიისა და დანამატის გაცემის საკითხის დარეგულირების მიზნით, – განაცხადა დევი ვეფხვაძემ. (bpn.ge)

## „სად შენ, სად — მე? მშვიდობით სამუდამოდ! ნუგზარი"...



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ნუგზარ წიკლაური „პატრიოტთა ალიანსთან" შესაძლო თანამშრომლობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და აღნიშნულ პარტიასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად გამორიცხავს:

– პრიმიტიულ უმეცრებასთან დაკავშირებით, რაც ჩემი სახელით ვრცელდება და უკავშირდება ვითომცდა ჩემ მიერ ირმა ინაშვილის მოპატიჟებასა და მიღებას „ნაციონალურ მოძრაობაში". „პატრიოტთა ალიანსი" არის სრულიად ოდიოზური ორგანიზაცია, რომელთანაც არასდროს და არავითარი კავშირი არ მქონია. მეტიც, მგონი, არც ვიცნობ მათ წევრთაგან რომელიმეს. არც კი ვიცი, არაადეკვატურობის რა ხარისხს უნდა შესწვდეს ადამიანი, რომ ჩემი და „პატრიოტთა ალიანსის" კავშირი დაიჯეროს. შემდეგი ნაბიჯი, ალბათ, იქნება ის, რომ ინაშვილთან ალიანსი ოდესაში მაკკეინის, სააკაშვილის და რუბიოს ინიციატივით დაიგეგმა. საცოდაობაა მართლაც, რომ ამ სიბრიყვეზე მიწევს კომენტარის გაკეთება, – წერს ნუგზარ წიკლაური სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელდა ნუგზარ წიკლაურის განცხადება, სადაც ის მზადყოფნას აცხადებდა საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით „პატრიოტთა ალიანსთან" ეთანამშრომლა. (ნიუპოსტი)

## საყევარიშვილმა გვარამიასთვის უფლებამოსილების აღდგენის თხოვნით რეესტრს მიმართა



„რუსთავი 2"-ის დროებით მმართველად დანიშნულმა რევაზ საყევარიშვილმა იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრს მოსამართლე თამაზ ურთმელიძის მიერ მიღებული ბოლო გადაწყვეტილების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა, რომლის თანახმადაც „რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიასთვის და ფინანსური დირექტორის კახა დამენიასთვის უფლებამოსილების აღდგენა უნდა მოხდეს.

ინფორმაცია ამის შესახებ საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსდა. ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, რეესტრმა ეს დოკუმენტი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში უნდა დაარეგისტრიროს და თუ პასუხი დადებითი იქნება, მაშინ ნიკა გვარამიასა და კახა დამენიას უფლებამოსილება პარასკევისთვის აღუდგებათ.

ცნობისთვის, „რუსთავი 2"-ის იურისტების სარჩელი თამაზ ურთმელიძემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, რევაზ საყევარიშვილი კვლავ დროებით მმართველად დარჩა, თუმცა უფლებამოსილებას მას შემდეგ განახორციელებს, რაც განაჩენს სარჩელზე სააპელაციო სასამართლო გამოიტანს. რაც შეეხება დავით დვალს, მას თამაზ ურთმელიძემ დროებითი მმართველის უფლებამოსილება შეუწყვიტა.

საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის მოვალეობას კვლავ ნიკა გვარამია შეასრულებს, ხოლო ფინანსური დირექტორის მოვალეობას – კახა დამენია. (ნიუპოსტი)

# საიდუმლო თათბირი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში — როგორ გეგმავს უწყება „ურჩი" დირექტორებისა და მასწავლებლებისგან სისტემის გაწმენდას

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის „ურჩი" დირექტორებისა და მასწავლებლებისგან გაწმენდა გადაუწყვეტია.**

**რა ხერხი აირჩიეს საამისოდ, ამის თაობაზე „ალიას" პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარეს, დათო ფერაძე ესაუბრა:**

– დაახლოებით ერთი კვირის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ალექსანდრე ონოფრიშვილი ადგილობრივი რესურსცენტრების იურისტებს შეხვდა. ჩაუტარა საგანგებო თათბირი და შემდეგი რამ დაავალა – შეესწავლათ საქართველოს ყველა სკოლაში რამდენად პოლიტიკურად აქტიურები არიან პედაგოგები, დირექტორები და თქვენ წარმოიდგინეთ, რესურსცენტრების დირექტორებიც კი.

**— პოლიტიკურად აქტიურობა რას გულისხმობს?**



– აინტერესებთ, არიან თუ არა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პოლიტიკის მხარდამჭერები, ან პირიქით – მოწინააღმდეგეები. რამდენად აქვთ კავშირი პოლიტიკურ წრეებთან... უნდა გაეკეთებინათ ამ ელექტორატის სია და საეჭვო ადამიანების ჩამონათვალი მიეწოდებინათ ონოფრიშვილისთვის.

**— და რაში სჭირდება მერე ეს სია ონოფრიშვილს?**

– როგორც ამ საიდუმლო თათბირზე უთქვამს, ამ ადამიანების წინააღმდეგ შეიკრებოდა კონკრეტული საქმეები და ასეთებს უხმაუროდ გაუშვებდნენ სკოლებიდან. თათბირზე საუბარი ყოფილა ჩემზეც. უთქვამს, რომ ჩემს წინააღმდეგაც იგეგმებოდა მსგავსი რამ და მალე ისე გამიშვებდნენ სკოლიდან, რომ ხმა ამოსაღებიც კი არ მექნებოდა. ეს იქნება მაგალითი, როგორ ისჯებიან ადამიანები, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმდინარე პოლიტიკას ეწინააღმდეგებიანო.

ერთი კვირაც არ იყო გასული ამ ამბის მერე, რომ დირექტორმა, რომელიც 116-ე სკოლაში, სადაც მე ვასწავლი, სწორედ იმის გამო არის მოგზავნილი, რომ სამინისტროს ხუშტურები შეასრულოს და საქმეები „კეროს", ჩემს წინააღმდეგ შეთითხნა 5 ყალბი ბრალდება. ის წერს, რომ თურმე, სკოლის დირექტორს სიტყვიერ შეურაცხყოფას ვაყენებ, მოსწავლეებს ვამხედრებ სკოლის წინააღმდეგ და ასე შემდეგ, ათასი სისულელე. აქ აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ რამენაირად შეაგროვო ხუთი ადმინისტრაციული დარღვევა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხუთი ადმინისტრაციული გაფრთხილების შემდეგ, სანიკიძის მიერ 2014 წელს გამოცემული ბრძანების შედეგად, უკვე იქმნება საფუძველი, რომ პედაგოგი გაათავისუფლონ სამსახურიდან, ანუ შეუძლიათ შრომითი ხელშეკრულება გაუუქმონ. თორემ ასე, ერთდროულად არ მომცემდნენ ამდენ შენიშვნას. თუ ეს სიმართლეა, მაშინ გამოვლენისთანავე რატომ არ მოახდინა სკოლამ რეაგირება თითოეულ დანაშაულზე?!

**— კარგი, დირექტორი დაელოდა მითითებას თქვენ შესახებ, მაგრამ თქვენ რატომ არ ისაუბრეთ ამ საკითხზე მაშინვე, როცა გაიგეთ, რომ ონოფრიშვილმა ეს დავალებები გასცა?**

– მე დიდი ხანია ვსაუბრობ ამ საკითხზე, თქვენთანაც მისაუბრია, რომ ეს დირექტორი, 116-ე სკოლის, უშუალოდ საამისოდ იყო გამოგზავნილი და მისგან არ გამიკვირდებოდა არაფერი. ჩვეულებრივი შემსრულებელია ეს ადამიანი, ისე, როგორც ბევრი დირექტორი საქართველოში. ეს ამბავი დღემდე იმიტომ არ გავახმაურე, რომ ამ დრომდე არ ვიცოდი ამ ამბის შესახებ.

**— ახლა ვისგან შეიტყვეთ?**

– ამ ეტაპზე ვერ ვასახელებ ინფორმაციის წყაროს, თუმცა, თუ ამ საკითხით სამართალდამცავი უწყებები დაინტერესდებიან, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, მათ წყაროს დავასახელებ.

**— რას აპირებთ?**

– მივმართავ სახალხო დამცველს, ასევე, მივმართავ სამართალდამცავ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ დაინტერესდნენ ამ საკითხით. ეს არ არის კონკრეტული პირის დევნა, დაიწყება ჩემით და გაგრძელდება სხვისით. ამ ეტაპზე ეს შემიძლია გითხრათ ჩემს გეგმებზე. დანარჩენს მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს.

**დათო ფერაძესთან საუბრის შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრესსამსახურს დავუკავშირდით. უწყება მისი მონათხრობის საქმის კურსში ჩავაყენეთ.**

**სამინისტროში უარყოფენ მსგავსი საიდუმლო თათბირის ჩატარებას და ამბობენ, რომ „ფერაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, კატეგორიულად არ შეესაბამება სიმართლეს".**

*დიანა ლიპარტელიანი*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ქინძს" დაარქმევს თავის არასამთავრობოს მორიგი ყოფილი „ნაცი" თუ „სტო პროს", ალბათ, მალე გავიგებთ...

როგორც მოგეხსენებათ, ანდრო ბარნოვმა „ნაციონალური მოძრაობა" დატოვა. ეს ის ბარნოვია, რომელმაც საოკუპაციო საზღვრის აღმნიშვნელი ბანერი გორის რაიონულ სასამართლოსთან ნაგვის ურნაში ჩააგდო და გულზე მჯიღები ირტყა – დღევანდელი მთავრობის ადგილიც ურნაშიაო. ეს ის ანდრო ბარნოვია, რომლის ხელისუფლების პირობებში მოხდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვა. ეს, ალბათ, არ ახსოვს ვაჟბატონს, ან არ აწყობს, რომ ახსოვდეს – სააკაშვილი ხომ მისი მეგობარია. ყოველ შემთხვევაში, მეგობარი იყო და ახლა დაემშვიდობა „დედა პარტიას" – ან შავმა კატამ გაირბინა მათ შორის, ან კიდევ ბარნოვის მორიგი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნაც მან დააანონსა, ყოფილი თუ მოქმედი „ნაცების" კვალს დაადგება და ჯაჯღანის მორიგი საშუალება იქნება სააკაშვილის ხელში.

სახელწოდებად „გირჩი" უკვე დაიკავა ყოფილი „ნაცების" ერთმა ჯგუფმა, მეორე ყოფილი „ნაცი" კი „ქინძს" დაარქმევს თავის არასამთავრობოს თუ „სტო პროს", ალბათ, მალე გავიგებთ.

მანამდე კი იმის გარკვევა ვცადეთ, პარტიასთან ერთად დატოვა თუ არა ბარნოვმა სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაც?

**„ალია" ბიბლიოთეკის წარმომადგენელ ლანა ღვინჯილიას ესაუბრა:**

**— ანდრო ბარნოვმა, „ნაციონალური მოძრაობის" დატოვებასთან ერთად, საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გამგეობის თავმჯდომარის პოსტიც დატოვა?**

– დიახ, დატოვა.

**— და ვინ ჩაანაცვლა ანდრო ბარნოვი?**

– გამგეობის თავმჯდომარე მწერალი ზაალ სამადაშვილი იქნება და კიდევ გვეყოლება ახალი ხელმძღვანელი ნინო კალანდაძე.

**— საპრეზიდენტო ბიბლიოთეკას საიდან აქვს დაფინანსება? რა წყაროებით ფინანსდებით?**

– კერძო შემოწირულობებით ფინანსდება, ყოველ ჯერზე სხვადასხვა დონორი გვყავს და ეს ინფორმაცია შეგიძლიათ, ფინანსური ორგანოებიდან გამოითხოვოთ.

**— არასამთავრობოებიც ხომ არ არიან შემომწირველებს შორის?**

– არა. ჩვენ ვთანამშრომლობთ ხოლმე არასამთავრობოებთან, ზოგჯერ საერთო პროექტები გვაქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, თუმცა ადგილობრივი არასამთავრობოები შემომწირველებს შორის არ არიან.

**— თუ არის თქვენთვის ცნობილი, მიხეილ სააკაშვილს რა რეაქცია ჰქონდა პარტიიდან ბარნოვის წასვლასთან დაკავშირებით? ბარნოვს ხომ არ უსაუბრია ამაზე?**

– ეგ სააკაშვილს უნდა ჰკითხოთ, ჩვენ როგორ გიპასუხებთ მაგაზე? „ფეისბუკზე" დაუკავშირდით, ან ელექტრონულად მისწერეთ. ანდრო ბარნოვისთვის არ დაგვისვამს ეგ კითხვა და შესაბამისად, ამაზე პასუხიც არ გვაქვს.



**— საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის სახელფასო სისტემა როგორია? არაერთ ადამიანს გამოუთქვამს დაინტერესება ამაზე, მაგალითად, რა ხელფასები აქვთ თანამშრომლებს?**

– საზოგადოებას სხვა არაფერი აინტერესებს საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის შესახებ ხელფასების გარდა? მე არ ვიცი, სხვა თანამშრომლებს რა ხელფასი აქვთ, შეგიძლიათ, ოფიციალურად გამოითხოვოთ ეს ინფორმაცია და მიიღებთ. ჩვენ გადასახადებს ვიხდით, ჩვეულებრივად გვერიცხება ხელფასი ბანკში და შეგიძლიათ, ეს გამოითხოვოთ...

**საინტერესო რა არის, იცით? თუ საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში კითხვა — რა რეაქცია ჰქონდა სააკაშვილს პარტიიდან ბარნოვის წასვლაზე? — სასაცილოდ მიაჩნიათ და ამბობენ, საიდან უნდა ვიცოდეთ, რა თქვა ამაზე სააკაშვილმაო, მაშინ ბიბლიოთეკამ ეს განცხადება სააკაშვილის კლონზე დაყრდნობით გაავრცელა?!**

– მიხეილ სააკაშვილი დიდ მადლობას უხდის ანდრო ბარნოვს ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილისა და 2-წლიანი მუშაობისთვის... მიხეილ სააკაშვილი წარმატებებს უსურვებს ბიბლიოთეკის ახალ ხელმძღვანელებს და იმედს გამოთქვამს, რომ ამ შემადგენლობით სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება საგანმანათლებლო საქმიანობაშიო...

**რა ვიცი, სააკაშვილს ამ თემაზე უსაუბრია კი არა, იმედებიც გამოუთქვამს, ემოციებიც გამოუხატავს და ლამის გულში ჩაუკრავს აწ უკვე ყოფილი „ნაცი" და...**

**კითხვები ანდრო ბარნოვთანაც გვქონდა და მასთან დაკავშირება კიდევ ვცადეთ, თუმცა უშედეგოდ...**

*ნინო ლაბარტყავა*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ფაქტობრივად, მოვიდა პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში, მაგრამ მაინც გვარწმუნებენ — არაო...

პაატა ბურჭულაძემ ახალი ფონდი დააფუძნა, რომლის ერთ-ერთი წევრი, პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანია. გავრცელებული ინფორმაციით, ფონდი უახლოეს 2 თვეში პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდება, თუმცა ვანო მაჭავარიანი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

მისი თქმით, ფონდი სახელწოდებით „საქართველოს განვითარებისთვის" მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს დარეგისტრირდა.

– ფონდი დარეგისტრირდა, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ის დააფუძნა იურიდიულმა პირმა – პაატა ბურჭულაძემ, რომელიც ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. მე მთხოვა ვყოფილიყავი ხელმძღვანელი, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი. ჩემ გარდა, ფონდის წევრები არიან: დავით ჯანდიერი, გიორგი რუხაძე, მერაბ ტყეშელაშვილი, ირაკლი გურჩიანი. ხათუნა ლაგაზიძე და სხვები, – აცხადებს მაჭავარიანი.

კითხვაზე, რა ფუნქცია ექნება ახალ ფონდს, პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა განმარტა, რომ „საქართველოს განვითარებისთვის" წევრები, პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოების აქტიურ წევრებთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალური კრიზისიდან გამოსვლის გზებს დასახავენ.



– საზოგადოებას შევთავაზებთ სივრცეს, პოლიტიკური პარტიები იქნება ეს, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ უბრალო აქტიური მოქალაქეები, მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ იმ თემების განხილვაში, რომლებიც აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ერთად უნდა შევთავაზოთ გამოსავალი იმ სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისიდან, რაც ქვეყანაში არსებობს, – აღნიშნა მაჭავარიანმა.

ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის თქმით, ფონდის პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნა არც მომავალში იგეგმება.

– მესმის, რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი იმედგაცრუებაა, თუმცა ბატონი ბურჭულაძის გადაწყვეტილებით, ჩვენ არ გარდავიქმნებით პოლიტიკურ პარტიად. კრიზისიდან გამოსავალი აღნიშნული ფონდითაც არის შესაძლებელი. დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ვქმნით „საქართველოს განვითარების ფონდს" და არა პოლიტიკურ პარტიას. ფონდი არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ორგანიზაცია, – ამბობს მაჭავარიანი.

მისი თქმით, ბურჭულაძე ამ დროისთვის საზღვარგარეთ იმყოფება და ფონდის საქმიანობის შესახებ მედიისთვის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისაუბრებს.

ცნობისთვის, ფონდის ერთ-ერთი წევრი ირაკლი გურჩიანი „ტოიოტა ცენტრი თბილისის" დამფუძნებელია, მერაბ ტყეშელაშვილიც, ასევე, ბიზნესსაქმიანობას ეწევა.

გიორგი რუხაძეს პოლიტიკური წარსული აქვს, ის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" საერთაშორისო მდივანი იყო, ხათუნა ლაგაზიძე ექსპერტია, რაც შეეხება დავით ჯანდიერს, ეს უკანასკნელი იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილეა. თავად მაჭავარიანი გიორგი მარგველაშვილის მარჯვენა ხელი იყო. (ნიუპოსტი)

**„ალია" პირველი წერდა, თან საკმაოდ დიდი ხნის წინ, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში მოსვლას აპირებდა. ჯერჯერობით საზოგადოება ისევ ლოდინის რეჟიმშია და მართალია, ოფიციალურად ამჯერადაც არ დასტურდება მისი გაპოლიტიკოსება, თუმცა ვფიქრობთ, ყველა კითხვას პასუხი მალე გაეცემა.**

**ჰო, კიდევ ერთი — მაჭავარიანი ამბობს: „საქართველოს განვითარებისთვის" წევრები, პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოების აქტიურ წევრებთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალური კრიზისიდან გამოსვლის გზებს დასახავენ"...**

**და სწორედ ეგ არაა პოლიტიკა, კაცო?..**

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# საგარეჯოს არჩევნებმა ხელისუფლება ორად გაყო

**დახურულ სხდომაზე წულუკიანს ხიდაშელისთვის უთქვამს, — განა ღირდა კი, საგარეჯოში ეს გამარჯვება ამ პრობლემად?!. ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია და ირმა ინაშვილი მართალია, სპეცუბანში ჯარისკაცების რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი და ეს გამარჯვება რეალურად ირმა ინაშვილს ეკუთვნოდა**





**„შეიძლება ძალიან მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოუწიოს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას და პირადად ბიძინა ივანიშვილს. გაუქმდეს რამდენიმე უბანში არჩევნების შედეგები და გადამწყვეტ უბნებში დაინიშნოს ხელახალი არჩევნები.“**

საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტია, როცა ქალი პოლიტიკოსი შიმშილობს და როგორც ჩანს, ეს საქმე მარტივად არ დასრულდება. „ალიამ“ მოიპოვა კულუარული ინფორმაცია, თუ რა ხდება ხელისუფლებაში. სანდო წყაროს ინფორმაციით, საგარეჯოს არჩევნებმა ხელისუფლება ორად გაყო, თინა ხიდაშელს მწვავედ უპირისპირდება იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, დახურულ სხდომაზე წულუკიანს ხიდაშელისთვის უთქვამს, – განა ღირდა კი, საგარეჯოში ეს გამარჯვება ამ პრობლემად?!. ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია და ირმა ინაშვილი მართალია, სპეცუბანში ჯარისკაცების რიცხვი ხელოვნურად არის გაზრდილი და ეს გამარჯვება რეალურად ირმა ინაშვილს ეკუთვნოდა. განა რა დაშავდებოდა, რომ შუალედურ არჩევნებზე ირმა ინაშვილი გასულიყო და ამხელა ალიაქოთი თავიდან აგვეცილებინა, ხალხს სამართლიანი არჩევნების ჩატარებას შევპირდით და გამოვიდა, რომ ოპონენტს ხელიდან გამოვგლიჯეთ მანდატი. ეს იყო ძალიან დიდი შეცდომა, ჩვენ ამ შეცდომას მოვიმკითო... ჩვენი ინფორმაციით, თეა წულუკიანს გადაწყვეტილი აქვს, კანონპროექტი შეიმუშაოს, რომლის მიხედვითაც არჩევნებზე სპეცუბნების მონაწილეობა მკაცრად გაკონტროლდება და შეიზღუდება.

სხვათა შორის, თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი 2003 წელს ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკოსი იყო, ვინც კატეგორიულად აკრიტიკებდა სპეცუბნების არჩევნებზე მონაწილეობას, მაგრამ ქალბატონმა თინამ ყველას და ყველაფერს გადააბიჯა. უმრავლესობაში მისგან უარესს ელოდებიან. როგორც ამბობენ, ჯერ სად ხართ, ეს უფრო მეტს გააკეთებსო და რა იგულისხმება ამ „მეტში“, ნამდვილად არ აკონკრეტებენ, თუმცა ისინი ხიდაშელისგან კარგს არაფერს ელიან. სწორედ თავდაცვის მინისტრმა დააყენა ეჭვქვეშ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება.

**მიუხედავად იმისა, რომ ირმა ინაშვილს ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილიდან დაწყებული, პრემიერით დასრულებული ყველა მოუწოდებს, რომ შიმშილობა შეწყვიტოს, ის უკან დახევას არ აპირებს და ამბობს, დღეს თუ ვართ 30, ხვალ 500 მოშიმშილე ვიქნებითო. ხელისუფლებამ თავადვე იცის, რომ სპეცუბნებზე ჯარისკაცების რაოდენობა ხელოვნურად გაზარდა თავდაცვის მინისტრმა.**

იუსტიციის მინისტრიდან დაწყებული, ყველა დაინტერესებულ პირს ინფორმაცია გადამოწმებული აქვს. ერთადერთი გამოსავალი არსებობს, თუკი ხელისუფლებას სამართლიანობაზე აქვს პრეტენზიები, ირმა ინაშვილის სამართლიანობით უნდა დაიწყოს და უარი თქვას არჩევნების გაყალბებაზე, თუ არადა, მივიღებთ იმაზე უარეს ხელისუფლებას, ვიდრე „ნაცმოძრაობა“ იყო.

**„რუსთავი 2“-მა ქვეყანაში მიმდინარე პროცესები გადაფარა, აქაც საინტერესო კაზუსთან გვაქვს საქმე, არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლე ურთმელიძე დაკავებული პოსტიდან განთავისუფლდეს და ციხეში ვიხილოთ და ღირსიც იქნება.**

ბიძინა ივანიშვილის განცხადებების შემდეგ, როცა მან თქვა: ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, მე მეყოფოდა ჭკუა, რომ ჯერ საერთოდ არ შევხებოდი „რუსთავი 2“-ს და მერე დროებითი მმართველი ასე სწრაფად არ შემეყვანა... ამ განცხადებას მოჰყვა ახალი განჩინება, რის შემდეგაც სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ყოფილ მენეჯმენტს ნიკა გვარამიას უფლებამოსილება აღუდგინა. ასეთ საგიჟეთში ვიმყოფებით ჩვენ და ამიტომაც, არ არის გამორიცხული, ურთმელიძის დედის ნაჯახი მის შვილზე ამოქმედდეს. ამ ორომტრიალში ირკვევა, რომ პაატა ბურჭულაძე პოლიტიკურ პარტიას ქმნის, მან დააფუძნა ახალი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ქვეყნისთვის აქტუალური საკითხების განხილვა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია. აშკარა ნიშნებია, რომ ამ ორგანიზაციის ბაზაზე პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდება. პაატა ბურჭულაძის „საქართველოს განვითარების ფონდი“ საჯარო რეესტრში 30 ოქტომბერს დარეგისტრირდა. ამ ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა თავად მსოფლიო ბანი, საოპერო მომღერალი პაატა ბურჭულაძე, აღმასრულებელი დირექტორი – ივანე მაჭავარიანი (პრეზიდენტ მარგველაშვილის ყოფილი მრჩეველი და მიხეილ მაჭავარიანის ძმა), სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან მერაბ ტყეშელაშვილი (რუსთავის ყოფილი მერი), ირაკლი გურჩიანი („ტოიოტა ცენტრი თბილისის“ დირექტორი).

„ალიას“ მკითხველისთვის ეს ინფორმაცია ახალი არ არის, ჯერ კიდევ აგვისტოში ვწერდით, რომ ოქტომბრის ბოლოს ახალი პოლიტიკური ძალა გამოჩნდებოდა და მას სათავეში პაატა ბურჭულაძე ჩაუდგებოდა, რომ ბურჭულაძეს მხარს დაუჭერდა ბიზნესწრეები, საპატრიარქოს, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი... ამ ინფორმაციის გასვლის შემდეგ პაატა ბურჭულაძე ტელეფონით დამიკავშირდა და გამიმხილა, რომ ასეთი ჩანაფიქრი მართლაც ჰქონდა.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში წასვლას ასე აფასებს:

**„როცა მილიარდერი ბიზნესმენი, ქველმოქმედი, იცვლის პროფესიას და მიდის პოლიტიკაში, ეს არის პირველი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია. ასევე, როდესაც მსოფლიო დონის საოპერო მომღერალი იცვლის პროფესიას და მიდის პოლიტიკაში, ეს არის ყველაზე სერიოზული მამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია...“**

პაატა ბურჭულაძე პოლიტიკისთვის ყველას ენანება, რადგან ის ასოცირდება ქველმოქმედებასთან და უამრავ კეთილ საქმესთან. ბიძინა ივანიშვილის პიროვნებამ დაადასტურა, რომ პოლიტიკა, ეს არის სიყვარულსა და სიძულვილს შორის გავლებული ზღვარი... როგორც აბრაამ ლინკოლნი იტყოდა, „შეიძლება ხალხი ერთხელ მოატყუო, მაგრამ არ შეიძლება მისი განუწყვეტლივ მოტყუება, რადგან ამას თვით ამ პოლიტიკოსებისთვის სავალალო შედეგები მოჰყვება...“

დღეს რომ პოლიტიკა მკვდარია, ამის ნიშნები სახეზეა, რასაც პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ადასტურებს, ამის ფონზე „ნაციონალური მოძრაობა“ სულს ლაფავს და ამ მარგინალურ პარტიას ძალიან მალე დაშლილს ვიხილავთ, სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა და ყოფილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა „ნაცმოძრაობა“ დატოვა. ეს იქნება შეუქცევადი პროცესი, „ნაციონალური მოძრაობა“ ასოცირდება კრიმინალურ დაჯგუფებასთან და სექტასთან, ამ სექტის მიმდევართა წრე უფრო და უფრო შევიწროვდება.

**როგორ აფასებს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიმდინარე მოვლენებს?**

**— ბატონო სოსო, ბიძინა ივანიშვილის ვრცელმა კომენტარებმა „რუსთავი 2“-თან და სხვა მიმდინარე თემებთან დაკავშირებით პოლიტიკური სურათი შეცვალა. ურთმელიძემ განჩინება შეცვალა და მენეჯმენტის უფლება დაუბრუნდა გვარამიას. რა ხდება, ვინ შეეწირება ამ საქმეს?**

— მოსამართლე ურთმელიძე უკვე განტევების ვაცად არის განხილული, ნებისმიერ შემთხვევაში ურთმელიძის კარიერული სვლა დასრულებულია. მე ვფიქრობ, „რუსთავი 2“-ის საქმე კომპრომისით დასრულდება, „რუსთავი-2“ ისეთ კომფორტულ გარემოში, როგორშიც იყო, აღარასოდეს იქნება, მაგრამ მთლიანად რომ დაეუფლოს ხალვაში და დვალი ამ ტელეკომპანიას, არც ასე არ იქნება. „რუსთავი 2“-ს არ უნდა მიეცეს იმის საბაბი, რომ სტრასბურგში გაიგზავნოს მათი საქმე, ევროპელები ვერ გაიგებენ ქიბარ ხალვაშის მონტე-კრისტოსავით ხელგაშლილობას, როცა მან დვალსა და აქიმიძეს წილები გადაუნაწილა და დროებით მართვაში შეიყვანა მაშინ, როცა აკრძალულია დროებით მმართველს წილი ჰქონდეს.

**— ევრომოსამართლეები იმას თუ გაიგებენ, სააკაშვილი როგორ აძლევდა ინსტრუქტაჟს, მოეწყო შევარდნაძის ხელისუფლების გადატრიალება და მის მიერ ჩადენილი სისხლისღვრა და ადამიანთა ტანჯვაწამება გაემართლებინა.**

— ეს უცხოელებისთვის ლირიკაა, ჩვენ მოვისმინეთ აუდიოჩანაწერი და არა ქმედება... თითქმის ერთი თვეა გასული, რაც საქმეა აღძრული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით, მე ვერ ვიხსენებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებს მსოფლიო ისტორიაში, რომ ერთ თვეში საქმის აღძვრიდან ერთი კაცი მაინც არ იყოს ამ ბრალდებით დაპატიმრებული. ჩვენ ვხედავთ განუწყვეტლივ დაბარებებსა და დაკითხვებს ე.წ. შეთქმულების. ან უნდა გაიხსნას საქმე და დააპატიმრონ ეჭვმიტანილი, ან რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ამბავი თითიდან გამოწოვილია. მე არ ვიცი, შესაძლოა, ხვალ-ზეგ ვილაც დააპატიმრონ. სისხლის სამართლის საქმე გადატრიალების მცდელობის მუხლით აღიძვრება მაშინ, როცა კონტრდაზვერვა საქმეზე მუშაობს რამდენიმე თვის განმავლობაში, მათ აქვთ უტყუარი მტკიცებულება და ამ საქმეზე მიდის სასამართლო, შედეგიც აუცილებლად დგება. მსოფლიოში ეს ასე ხდება. თუმცა ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს, ხელისუფლებამ უნდა დაგვიმტკიცოს, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობით აღძრული საქმე ბლეფი არაა...

**— „ნაციონალური მოძრაობა“ წევრებს კარგავს, ამასობაში ჩვენ თვალწინ ყალიბდება ახალი პოლიტიკური პარტია, რომლის სათავეშიც პაატა ბურჭულაძე იქნება. რა შანსები აქვს პაატა ბურჭულაძეს, გახდება ის მესამე პოლიტიკური ცენტრის ლიდერი?**

— გააჩნია, პაატა ბურჭულაძეს რა რესურსი აქვს, თავის დროზე

**ბიძინა ივანიშვილს ამხელა მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა შექმნა ისეთი მექანიზმი, გაართულა არჩევნების გაყალბება. მას ყველა უბანზე ათასობით მეთვალყურე ჰყავდა, მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ანალიტიკოსი სიმონ კილაძე ბოლომდე მხარში ედგა ივანიშვილს, ორი კვირა სახლში დასაძინებლად არ წასულა, მან დიდი წვლილი შეიტანა არჩევნებში, მაგრამ მისთვის კაპიკი არავის გადაუხდია, არავინ დაუფასა ამხელა შრომა, ეს საწყალი კაცი სამი წელია ურეკავს ხან საგანელიძეს, ხან — ვის და ხან — ვის, 200-ლარიან სამსახურს ითხოვს და ამასაც არ უკეთებენ.**

ჰოდა, ასეთი რამდენია, არავინ იცის. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტის შესახებ ივანიშვილმა არც იცის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ პაატას აქვს განა ამხელა რესურსი?.. ხომ ნახეთ საგარეჯოს მაგალითი, ეს ჩემთვის იყო გენერალური რეპეტიცია. თუ საგარეჯოში ვნახავდით პრეცედენტს, რომ ოპოზიცია გაიმარჯვებდა, ეს იქნებოდა „ქართული ოცნებისთვის“ კარტბლანში ევროპაში. მაშინ ყველა დიპლომატი ხმას ჩაიკმენდდა. მაგრამ ჩვენ ვნახეთ აბსოლუტურად სხვა შედეგი.

**ფაქტობრივად, ირმა ინაშვილს გამარჯვება ჯიბიდან ქურდულად ამოაცალეს. ეს იყო ქალური კაპრიზი. თინა ხიდაშელმა არ დაუშვა წაგება. მე არ ვიცი, რატომ არის ასეთი ლმობიერი ივანიშვილი „რესპუბლიკელების“ მიმართ.**

ძალიან დიდი შეცდომა იყო, ერთი ხიდაშელი მიდის, მეორე მოდის... თინა ხიდაშელმა საკუთარ ნათესავს ჩააგდო მანდატი. დღეს რუსეთშიც კი აღარ ხდება ისე, რომ არჩევნებში მინისტრები ერეოდნენ და „ედინაია რასიას“ კანდიდატის სასარგებლოდ ეწეოდნენ პროპაგანდას. უფრო მეტსაც გეტყვით, ასეთი რამ ბელორუსშიც აღარ ხდება. ლუკაშენკომ თავის მინისტრებს აუკრძალა არჩევნებზე გამოჩენა, მართლა არ ვიცი, ასეთი რამ სად ხდება, რაც ჩვენ თვალწინ დატრიალდა. გეკითხებით, რა უნდოდა ჯანდაცვის მინისტრს, თავდაცვის მინისტრს, გარემოს დაცვის მინისტრს არჩევნებზე, მეტი საქმე არა აქვთ?!. სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არჩევნებზე ჯარისკაცების ოდენობის გაზრდა. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება არ იყო, აბა, რა ჯანდაბა იყო ეს?!. ინაშვილი აღმოჩნდა კერკეტი კაკალი. მას ივანიშვილმა მოუწოდა, რომ წინ კიდევ არჩევნებია, მაგრამ ინაშვილი არ ნებდება, პრინციპის საკითხია. მე ვერ ვიხსენებ ბოლო პერიოდში რომ ქალი პოლიტიკოსი შიმშილობდეს. ეს ქულებს არ მატებს ქვეყანას ევროპის თვალში. თუ ირმა აღმოჩნდება თანმიმდევრული და ბოლომდე ასეთი პრინციპული, შეიძლება ძალიან მძიმე გადაწყვეტილების მიღება მოუწიოს „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობას და პირადად ბიძინა ივანიშვილს. გაუქმდეს რამდენიმე უბანში არჩევნების შედეგები და გადამწყვეტ უბნებში დაინიშნოს ხელახალი არჩევნები.

# 7 ნოემბრის ორი სპეცრაზმელის განსხვავებული ისტორია




– ვა! რამდენი წელია აღარ მინახიხარ. ხო ხარ ჯიგრულად? – ვაჰ, გაუმარჯოს. რას შვები, საით ხარ?

– ისევ იქ რა, დაცვა და რამე. ყოფილი სპორტსმენები ყველას ვჭირდებით, ხო იცი....

საუბარს ვწყვეტთ, რადგან კიდევ ერთი ძველი ნაცნობი გვიახლოვდება. ძალიან ფეხათრევით, რაღაც კოჭლობით მოდის და უხერხულად იღიმება. თან ასე, 10 წლამდე ასაკის გოგონა ახლავს. ხელიხელჩაკიდებულები მოდიან. გოგონა მას ქვევიდან ახედავს ხოლმე ღიმილით. ეს რაღაცას ეუბნება. მოვიდნენ.

– ვააჰ! შორიდან მეთქი ეგ არის, არ არის. რამდენი წელია, ტო! როგორ ხარ?

ბეჭებზე ხელს მირტყამს.

მართლაც, მე რამდენიმე წელი წასული ვიყავი უბნიდან. სხვა უბანში ვცხოვრობდი, ნაქირავებში, ცოლ-შვილთან ერთად. რომ გავშორდი, მერე დავბრუნდი ჩემს უბანში და დიდი ხანია აქაურები არ მინახავს.

მოვიკითხე მეც. ჩემი პირველი თანამოსაუბრე გამოცოცხლდა. იმ 10 წლის გოგონას გამოელაპარაკა. მიიხუტა.

– მამიკო თუ ნებას მოგვცემს, აგერ, მაღაზიაში გამომყევი. „კოკა“, შოკოლადი, ამოირჩიე და ბიძია გეპატიჟება! – ეუბნება და თან მამამისს უყურებს თვალებში. მამამ უხერხულად გაიღიმა. ხმის დაძვრა ვერ მოასწრო, რომ ისინი უკვე მაღაზიის კარს აღებენ. ჩვენ ერთმანეთის მოკითხვა გავაგრძელეთ....

– რა კაი ტიპია!.. – მეუბნება და თვალს აყოლებს ჩემს პირველ მოსაუბრეს, რომელმაც მისი გოგონა მაღაზიაში წაიყვანა, – ეტყობა, უყვარს ბავშვები. კეთილი ადამიანი ჩანს.

– ხო იცნობ, კაცო? – ვეკითხები. ერთი უბნელები ვართ, მართალია, ეს ცოტა მოშორებით, სხვა კვარტალში ცხოვრობს, მაგრამ, წესით, უნდა იცნობდეს.

– არა, მე მაგას ახლოს არ ვიცნობ. უბრალოდ, დამინახავს, კი. მე ხო აქეთ იშვიათად გადმოვდიოდი, აქაურები ცოტა ვიცი. ეგ, შენ გადმოდიოდი ხოლმე ჩვენკენ ხშირად, – ბავშვობას გაუღიმა თუ მე, ბოლომდე ვერც მივხვდი.

– საით ხარ, რას შვები? – ვკითხე უფრო იმისთვის, რომ ჩუმად არ ვყოფილიყავით....

– რა ვიცი, ხომ იცი, ყოფილი სპორტსმენები არავის ვჭირდებით! – გამიღიმა ისევ.

– ჰო, მახსოვს შენ სულ ვარჯიშობდი. წელან მომეჩვენა, თუ კოჭლობით მოდიოდი რაღაც?..

– ჰო, ბიჭო, ეგ ამბავი არ იცი? აი, მაშინ რა. დღეს 7 არ არის რიცხვი? ჰო, ზუსტად დღევანდელ დღეს 2007-ში, მე ხო სამხედროში ვიყავი რა და დაგვავალეს, ხო ხვდები.

ვერ აბამს თავს სათქმელს. დიდი მჭევრმეტყველებით ვერც ბავშვობაში გამოირჩეოდა. ვეხმარები.

– ხო, ალბათ, ხალხის დარბევაში მონაწილეობა, არა?

– ჰო, ბიჭო, რა. და არ შემიძლია მე ეგეთები, ძმაო! – შვებით ამოისუნთქა თითქოს და განაგრძო, – ავადმყოფობა მოვიმიზეზე რა, ნაცნობი დამეხმარა პოლიკლინიკიდან და დავეთხოვე მაგ დღეებში. მერე ტელევიზორში რომ ვნახე, ხალხს ურტყამდნენ, ვერ მოვითმინე. სამხედრო ფორმა გავიხადე, სამოქალაქოები ჩავიცვი და მივედი რიყეზე. ხომ იცი, 3-4 კაცის გაჩერება ჩხუბში თავისუფლად შემეძლო. შემეცოდა, ხალხს რომ ასე უმოწყალოდ ურტყამდნენ და ვიფიქრე, რამდენიმე ადამიანს მაინც გადავარჩენ, გამოვიყვან, მივეშველები-თქო....

– შენ, ძმაო, თავი გაგიწირია, აბა, – გაოცებას ვერ ვმალავ.

– ბიჭო, ვხვდები კი, რომ ნამეტარი მოვინდომე, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. მართლა გამოვათრიე 5 თუ 6 კაცი სპეცრაზმის და სამხედროების ხელკეტებისგან. მაგრამ ბოლოს ან მიხვდნენ, რომ კარგად ვჩხუბობდი, ან მიცნო რომელიღაც ნილბიანმა და მობილიზდნენ ჩემს წინააღმდეგ და 2 და 3-ის მაგივრად ჩემი მიმართულებით ერთბაშად 10-12 წამოვიდა. მოკლედ, არაადამიანურად მირტყეს, ძმაო. გონება სანამ არ დავკარგე, არ მომეშვნენ. აზრზე რომ მოვედი, სადღაც აფთიაქში ვეგდე. ვიღაცამ შემათრია, როგორც ჩანს. მერე სასწრაფო მოვიდა. მოკლედ, აი, ხერხემალი მაქვს დაზიანებული. მარჯვენა ფეხს რომ მართავს, ეგ ნერვიც მძიმედაა დაზიანებული. გადაადგილება მიჭირს....

– სამსახურიდან გაგიშვეს? – ვკითხე და გული მართლა ყელამდე ამოვიდა.

– საავადმყოფოდან გამოსვლაც არ მაცალეს, ბიჭო. პალატაში მოვიდა ჩემი ბატალიონის მეთაური, მეუბნება, აკი ავად იყავი და ბიულეტენზე იყავიო? და წარმოიდგინე საიდანღაც გადაღებული კადრები მანახა, მე რომ იმ მიტინგზე ვარ და ხალხს ვეხმარები. ლეპტოპი ჰქონდა მოტანილი და ბოლოს მითხრა, ალბათ, ხვდები, რომ ნაწილში აღარ უნდა დაბრუნდეო. ეგრე იყო რა....

– არა უშავს. მოგვარდება, ძმაო, ყველაფერი, აგერ შვილი გყოლია უმაგრესი ბავშვი, – დავიწყე უაზრო ნუგეშისცემა.

– შვილი ხო, ცოლი გამექცა,... ნოლზე დავრჩი, ძმაო, ხო ხვდები? მე სხვა საქმე არ ვიცოდი არაფერი. ხო გახსოვს ჩემი ცოლი. ბავშვობიდან მაგ გოგოს მეტი არავინ მინდოდა. რომ დამცინოდნენ ბიჭები, ხო გახსოვს.... ჰოდა, ეტყობა, ქალი ქალია, რა, ვერ გაუძლო. პურის ფულიც აღარ გვქონდა. რაც უნდა იყოს, წარუმატებელი ტიპი, თურმე მაინც არავის უნდა. შვილი, აგერ წამოიზარდა და თვითონ ითხოვს ხოლმე ახლა, რომ მამა ნახოს. ასე კვირაში ერთი დღე მომყავს, მაგრამ კამფეტსაც ვერ ვყიდულობ ხშირად, ბიჭო, ბავშვს....

– ეგ არაფერი, დაახლოებით ჩემსავით მოგსვლია, – ვუღიმი ნაძალადევად, – მისმინე და ესენი რომ მოვიდნენ ახლა, არაფერი?... – სიტყვა გამიწყდა....

– კაი რა, ძმაო! ვის აღარ ველაპარაკე, ვის აღარ მივმართე,... ბიჭო. ტიპი, რომელმაც ლეპტოპით მიტინგზე გადაღებული ჩემი კადრები მანახა და სამსახურიდან გამიშვა, ახლა გენერალურ შტაბშია მაღალ თანამდებობაზე, გესმის? მე კიდევ, აგერ ერთი ეს სოციალურად დაუცველის სტატუსი მომაშავეს და ეგაა, რაღაც შეღავათებით ვსარგებლობ, სხვა არაფერი....

ამასობაში ისინი მაღაზიიდან გამოვიდნენ. გოგონას პარკით შოკოლადები მოაქვს, „კოკა-კოლას“ სვამს და ახალგაცნობილ ბიძიას რაღაცას გაღიმებული ელაპარაკება. მოვიდნენ.

– ანგელოზი ბავშვი გყავს, ძმაო! ბედნიერი კაცი ხარ! – ბეჭებზე ხელს უტყაპუნებს ეს.

– მადლობა, მეგობარო, – ამბობს მორცხვად და გოგონას ხელს ჰკიდებს, – ჩვენ წავალთ, ავტობუსი მოვა უკვე. გაჩერებაზე 8 წუთი ეწერა წელან და, – სიტყვას აღარ ამთავრებს, ვატყობ, რომ ცრემლები ერევა, თავს გვიქნევს და უხმოდ მიდიან. გოგონა ცოტა ხანს კიდევ გვიყურებს ზურგს უკან მოტრიალებული ლამაზი თავით და მერე მამას მიჰყვება.

– რა კაი ტიპია!.. – მეუბნება ეს, – ეტყობა, ზრდილობიანი და კეთილი მასტია. კი ვიცნობ შორიდან, მაგრამ ახლო ნაცნობობა არ გვქონია....

– ჰო, კარგი ადამიანია ნამდვილად, – ვამბობ და ვაპირებ მოვუყვე მისი ამბავი. უცებ თავად იწყებს.

– ჰოდა, ეგრე, ძმაო! წელან რო ვბაზრობდით. მოკლედ, ყოფილი სპორტსმენების ამბავი ხო იცი, არა. დაცვა, „ლიჩნიკი“, რამე, „ზევით“ ყველას ვჭირდებით რა და ისევ იქა ვარ....

– ჰო, – ვეუბნები და ვგრძნობ, რომ ვმძიმდები, – მახსოვს, სადღაც იყავი, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, სად.

– სხვაგან სად უნდა ვყოფილიყავი, ძმაო, ძალოვნები რა! მოკლედ, გავრბივარ ახლა, მეჩქარება. მოსაგვარებელი მაქვს რაღაც. მელოდებიან. მერე ერთ მაგარ ქალთან უნდა შევიარო, უნდა მოვასწრო, სანამ ცოლი დამირეკავს, – ეშმაკურად მიღიმის, – ჩემი ამბავი ხო იცი. ამას წინათ ავაგდე ახალი „ნაშა“. წარმატებული ტიპები ყველას ვევასებით, ხო იცი! სხვა დროს გნახავ და ბევრი ვილაპარაკოთ, რა.

– კარგი. აბა, შენ იცი, – არ ვინტერესდები, სად მიდის. არ ვიცი, რატომ. თავად აგრძელებს.

– ბინის კლიენტებს უნდა შევხვდე, რა. აი, იმ ბინას ვყიდი, ხო იცი დიღომში....

– შენ დიღომშიც გაქვს ბინა?

– ჰო რა, აი, მაშინ მიშამ რომ დაგვირიგა,...– ალბათ, სახე ძალიან შემეცვალა. უცებ შეწყვიტა ლაპარაკი და მგონი, გაიაზრა, რომ რაღაც ცუდი წამოროშა. პაუზის მერე შეცვლილი ტონით გააგრძელა.

– ვაჰ! შენ ისევ ის ტიპი ხარ რა, რაც ბავშვობაში იყავი! კაი, ჰო, რა იყო,...დაგვავალეს და გავაკეთეთ. მე, ძმაო, პოლიტიკოსი კი არ ვარ, პროფესიონალი ვარ ჩემი საქმის! – ამაყი სახით მეუბნება და შავ დიდ მანქანაში ჯდება.

ფანჯარა ჩამოწია და ღიმილით მიყურებს.

– აუ, რა კაცი ხარ შენა, რა! გაგიჭირდება ეგრე ცხოვრება, ძმაო! – იღრიჭება უშნოდ.

– ახლა სად ხარ, რას აკეთებ? – ინსტინქტურად გამოვცერი.

– აბა, შენა ხარ რა! ისევ იქ-მეთქი, სამჯერ გითხარი უკვე. ცოტა „ამწიეს“ კიდეც. აბა, რა ვქნა, ძმაო, შვილები ერთი უკვე სტუდენტია, მეორე – აბიტურიენტი, გზაზე ხო უნდა დავაყენო? გნახავ მერე და ვიბაზროთ, – ხელი დამიქნია და მანქანა ადგილს მოწყვიტა.

ავტობუსის გაჩერებისკენ გავიხედე. ის ჩემი მეორე ნაცნობი ავტობუსში ადიოდა თავის გოგონასთან ერთად. საფეხურზე შედგა, მოიხედა და ხელი დამიქნია. რაღაც ბარათი ეჭირა ხელში. ალბათ, სოციალურად დაუცველებისთვის ავტობუსით უფასოდ გადასაადგილებელი პლასტიკური ბარათი. ავტობუსს შავმა დიდმა მანქანამ ჩაუქროლა. ამან თვალი გააყოლა. ეტყობა, იცნო საჭესთან მჯდომი. ბარათი მეორე ხელში გადაიტანა, თავი იმ შავი დიდი მანქანისკენ გადაიქნია და მარჯვენა ხელით ჰაერში ცერა თითი შემართა – რა კაი ტიპიაო!

***ბაკურ სვანიძე***

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პედაგოგებს ხურდებით უზრდით ხელფასს, პრემიების შენარჩუნებაზე კი თავს იკლავთ — რას აკეთებთ მასწავლებლებზე მეტს?!



– პრემია თავისი არსით შესანარჩუნებელია, მათ შორის იმ ადამიანებისთვის, რომელთა შრომაზეც არის დამოკიდებული ბიუჯეტის შევსება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ასე შემდეგ, – აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა გააკეთა.

ხადურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მინისტრები პრემიას არ იღებენ და ასეთი რამ ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.

– როგორც კი „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი ამოქმედდება, ეს სისტემა დალაგდება. მზად ვართ, ამ მიმართულებით ნაბიჯები აქტიურად გადავდგათ. პრემია თავისი არსით შესანარჩუნებელია, მათ შორის იმ ადამიანებისთვის, რომელთა შრომაზეც დამოკიდებულია ბიუჯეტის შევსება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ასე შემდეგ. უბრალო თანამდებობის პირებისთვის, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ, თავისთავად ცხადია, წახალისების მექანიზმი უნდა არსებობდეს, – განაცხადა ხადურმა. (ინტერპრესნიუსი)

**საზიზღარი ლოგიკაა, საძაგელი და გულისამრევი — მომავალ თაობებს ვინც ზრდის, მათთვის განათლების მიცემისთვის არანაკლებად ასწორებს დღეებსა და ღამეებს, იმათ პრემია კი არა, ხელფასი ენატრებათ და პლუს ამას, სწორედ ეს ხალხი ავსებს ისევ ბიუჯეტს, გასაგებია?! ისევ ეს ხალხი გიხდით ხელფასებსაც და პრემიებსაც და არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ხალხსაც ამოასხამს ერთ დღეს ამდენი უსამართლობა და ამდენი არაადამიანობა!!!**

## სტიქიამ გურიაში გზები, ხიდები და საცხოვრებელი სახლები დააზიანა



სტიქიამ გურიაში გზები, ხიდები, მრავალბინიანი საცხოვრებელი და კერძო სახლები დააზიანა. ადიდებულმა მდინარე სუფსამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში მიმდინარე ნაპირსამაგრი სამუშაოები და მუშათა დროებითი საცხოვრებელი დატბორა; ჩაინგრა სოფელ გაგურთან დამაკავშირებელი ხიდიც. ღამით მომხდარი სტიქიის შედეგად, ასევე, დაზიანდა ქალაქ ოზურგეთში მრავალბინიანი და კერძო საცხოვრებელი სახლების სახურავები. ქარმა წააქცია რამდენიმე ხე, რომელთაგანაც ერთი თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზიას დაეცა და სახურავი დაუზიანა. სტიქიამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ოზურგეთის მუნიციპალიტეტსაც. დაზიანებულია საავტომობილო გზები, საყანე ფართობები და საცხოვრებელი სახლები.

დაბა ურეკში ძლიერმა ქარმა და წვიმამ ექვსი ხე წააქცია, დაზიანებულია გარე განათების სადენები.

ძლიერმა წვიმამ ჩოხატაურიც დააზარალა. დაიტბორა დაბის რამდენიმე ქუჩა. დაზიანდა სოფელ კოხნარი-საჭამიასერის საავტომობილო გზაც. სწრაფად ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები და ამ დროისთვის გზა აღდგენილია. ადიდებულმა მდინარე გუბაზეულმა სოფელ ხიდისთავში საავტომობილო ხიდი დააზიანა. (ინტერპრესნიუსი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# 150 პარლამენტარიდან, 44-ის გარდა ყველა გალორებულა?!





აჰა, ქვეყნის კეთილდღეობაო, ეკონომიკის განვითარებაო... ჯერ ერთი, რატომ უნდა მოგიტანონ „ნაციონალებმა“ ანგარიში, რას მოაკლო და რას – არა, ფინანსთა სამინისტროში თვლა არ იცით? 2012-ში ამომრჩეველს თქვენ არ ჰპირდებოდით, პენსია და სამომხმარებლო კალათი 250 ლარი იქნებაო? იქნებ ისიც დაგავიწყდათ, ვინ გვპირდებოდა, მეოთხე წელი საუკეთესო იქნებაო...

12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მთლიანად მოწყვეტილია რეალობას და ხალხის ბედი ფეხებზე ჰკიდია: პირველი – ჩვენმა „მზრუნველმა“ დეპუტატებმა უარი თქვეს თავიანთი კოლეგის, ზაქარია ქუცნაშვილის საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც მაღალი რანგის სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ პრემიების აღების შეზღუდვას ითვალისწინებდა. ეს ინიციატივა მეორე მოსმენის შემდეგ ჩავარდა, 150-დან მხოლოდ 44-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი, გიორგი კახიანი ამბობს, იდეა კარგია, ინიციატივის პათოსს მიესალმება, მაგრამ მისთვის მხარი პარლამენტს არ უნდა დაეჭირა, რადგან საკითხი კომპლექსურ მოწესრიგებას საჭიროებს. მისივე ინფორმაციით, ყველა იმ თანამდებობის პირს, რომელსაც კანონპროექტი ეხება, ბოლო ცხრა თვის განმავლობაში, პრემიის სახით, ჯამში, 1 316 762 ლარი აქვს აღებული. თურმე გაცემული პრემიების უდიდესი ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობებზე – კერძოდ, საკრებულოს თავმჯდომარეებზე, მერებსა და გამგებლებზე მოდის (630 ათასი ლარი). ხალხო, თუ ვინმემ თვლა იცით, ახლა ამიხსენით, 630 ათასი ლარი 1 მილიონ 300 ათასის უდიდესი ნაწილი რანაირად გამოდის? გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს, პრემიებს ვინ იღებს, მერი და გამგებელი თუ მინისტრი და მისი მოადგილეები?

ქუცნაშვილის პროექტის თანახმად, 2017 წლის იანვრამდე (საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის ძალაში შესვლამდე), პრემიების მიღების უფლება უნდა შეუჩერდეთ პარლამენტის წევრებს, მინისტრებს და მათ მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი ორგანოების წევრებს, მინისტრებსა და მათ მოადგილეებს, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს და მის მოადგილეს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს და მის მოადგილეს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანსა და მის მოადგილეს, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანსა და მის მოადგილეს, საგადასახადო ომბუდსმენსა და მის მოადგილეს, პარლამენტის აპარატის უფროსსა და მის მოადგილეს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელებს, შემოსავლების სამსახურის უფროსსა და მის მოადგილეებს, გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტსა და საბჭოს წევრებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ეროვნული მარეგულირებელი კომისიის წევრებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და კომისიის მდივანს, გუბერნატორებსა და მის მოადგილეებს, მოსამართლეებს, მთავარ პროკურორსა და მის მოადგილეებს. ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, ეს უნდა შეხებოდა ყველა მაღალი რანგის ჩინოვნიკს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, დეპუტატები არც თავისთვის იკლებენ პრემიებს და არც თავიანთ „პადელნიკებს“. ბოლო-ბოლო, ყველა ჩამოთვლილ თანამდებობებზე მათი ახლობლები არ სხედან?

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უკვე გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც წერია, რომ საჯარო დაწესებულებებში პრემიების გაცემის შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელფასო დანამატის სახით გაცემული თანხები. ესე იგი, ერქვა პრემია, დაარქვეს დანამატი. ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს რას დაარქმევთ? ფაქტია, ბიუჯეტს მოჯექით უსინდისოდ და „ბალახობთ“ თქვენს გემოზე...

როგორც გენერალური აუდიტორის მოადგილე, დევი ვეფხვაძე ამბობს, მთავრობის №449 დადგენილება, რომელმაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში გასაცემი პრემიების მოცულობა და პერიოდულობა შეზღუდა, ფარატინა ქაღალდი აღმოჩნდა, 2015 წლის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით, დანამატების გამოწერა 36,9%-ით გაიზარდა. ხედავთ, რა გააკეთეს? შარშან მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ეწერა სიტყვა „პრემია“, ამათ შეცვალეს „დანამატით“ და მორჩა, ხელ-ფეხი გაეხსნათ. პარლამენტის ტრიბუნიდან ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური გვმოძღვრავს, პრემია თავისი არსით შესანარჩუნებელია, ხალხი მუშაობს, საქმეს აკეთებს, აბა, როგორ გინდათ, წახალისების მექანიზმი ხომ უნდა არსებობდესო?

როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ეს მიხეილ სააკაშვილის მეთოდია: „როგორც კი ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნები ჩნდებოდა, ეგრევე საბიუჯეტო ორგანიზაციებში ან ხელფასების მომატება იწყებდა, ან კიდევ შტატების დამატებას. ეს ნაღდი ოპერაციაა, არც ეკონომიკის აღორძინებაზე ფიქრია საჭირო, არც საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, რაც მეტ პრემია-სარგოს გასცემ, მით მეტი შემოგივა ბიუჯეტში საშემოსავლოს სახით“.

მაშინ, როცა ჩვენი ჩინოვნიკობა პრემია-დანამატებით გასკდა, ყველა თავს იკავებს პენსიების მომატებაზე. ამას წინათ „ნაციონალებმა“ ატეხეს ერთი ამბავი, პენსიის გაზრდა 50 ლარით შესაძლებელია, ამისთვის, სულ რაღაც, 400 მილიონი ლარია საჭიროო („ნაციონალები“ რომ ამ საკითხში გაგჭედავენ, თავის მოსაკლავად გაქვს საქმე), მაგრამ აგერ, გამოვიდა ბატონი ნოდარ ხადური და პირდაპირ ქვას შეუშვირა თავი, „ნაციონალური მოძრაობა“ პოპულიზმის მორევშია გადავარდნილიო: „მათ თქვეს, რომ მოგვიტანდნენ გაანგარიშებას, რას შეიძლება ფული მოვაკლოთ, მაგრამ მსგავსი არაფერი მოუტანიათ. ერთადერთი, რაზეც გვეუბნებიან, რომ თანხა მოვაკლოთ, არის ჯანდაცვა, მაგრამ ჯანდაცვას არაფერს მოვაკლებთ, არც განათლებას მოვაკლებთ. თანხების არც არაფრისთვის მოკლებას ვაპირებთ, რადგან ეს არის თანხები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ადამიანების კეთილდღეობას ხმარდება“.

აჰა, ქვეყნის კეთილდღეობაო, ეკონომიკის განვითარებაო... ჯერ ერთი, რატომ უნდა მოგიტანონ „ნაციონალებმა“ ანგარიში, რას მოაკლო და რას – არა, ფინანსთა სამინისტროში თვლა არ იცით? 2012-ში ამომრჩეველს თქვენ არ ჰპირდებოდით, პენსია და სამომხმარებლო კალათი 250 ლარი იქნებაო? იქნებ ისიც დაგავიწყდათ, ვინ გვპირდებოდა, მეოთხე წელი საუკეთესო იქნებაო... მეორეც – ვინ გეუბნება, ჯანდაცვასა და განათლებას მოაკელი თანხებიო, ამდენ პრემია-დანამატებს რომ იწერთ, ის შეამცირეთო, ამას ამბობენ არა „ნაციონალები“, არამედ გაღატაკებული ადამიანები!

მოკლედ, 2016 წლის ბიუჯეტში პენსიების ზრდა საერთოდ არ არის გათვალისწინებული. რამე იქნება თუ არა, ამაზე ფინანსთა მინისტრს პასუხი არ აქვს. მისი თქმით, მუშავდება ვარიანტები და მთავრობის პოზიცია ახლო მომავალში გახდება ცნობილი. „ალიასთან“ საუბარში იგივეს ამბობს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, თამაზ მეჭიაური. მისი თქმით, ჯერჯერობით ამ მხრივ გამოკვეთილი არაფერია, ფიქრობენ, რა შეიძლება გაკეთდეს. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, თანხები მართლაც გამოძებნონ, სადღაც 10 ლარის ფარგლებში და თანაც 2016 წლის სექტემბერში. ვის აბრიყვებთ, ამასაც მარტო იმიტომ გააკეთებთ, რომ ერთ თვეში არჩევნებია და პენსიონერების ხმები გჭირდებათ და მეორეც – კულუარული ინფორმაციის თანახმად, ბიძინა ივანიშვილს დავალებული აქვს, რომ რაღაც დოზით მომატება აუცილებელია. რატომ ჰკიდია ხადურს პენსიები და რატომ იგიჟებს თავს პრემია-დანამატების შენარჩუნებაზე?

ეკონომიკის ექსპერტი, დემურ გიორხელიძე ამ ყველაფერს უკვე იუმორით უყურებს, ოღონდ მწარე იუმორით. მისი თქმით, ხალხზე მზრუნველ ჩინოვნიკებს მხოლოდ პრემიები არ ეყოფათ, დანამატებიც საჭიროა და კიდევ რაღაც ახალია მოსაფიქრებელი:

„ესენი პრემიებს გამოიწერენ თუ დანამატებს, ამით რა იცვლება? მიამიტ ადამიანებს უკვირთ, არჩევნები ახლოვდება, ნეტა ეს ადამიანები ასე რატომ იქცევიანო? რეალობა ასეთია: საერთოდ, არჩევნები აწუხებთ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან თავიანთი შრომისა და სიბეჯითის წყალობით. ამათ არ უშრომიათ, ერთმა მატარებელმა ჩაიბა მოსახლეობის განწყობის ფონზე და მივიღეთ ის, რასაც ვხედავთ. ჩვენთან ასეა, ოღონდ ბელადი გამოჩნდეს და მის უკან ვინ დგას, არავის არ აინტერესებს. 2012 წელს, ფაქტობრივად, საქართველომ ხმა მისცა ერთ კაცს, ეს კაცი წავიდა და დაგვრჩა დაბალი დონის ადამიანების ერთობლიობა. ახლა ეს ადამიანები აკეთებენ იმას, რასაც უნდა აკეთებდნენ – მათ მშვენივრად იციან, რომ დამოუკიდებლად არანაირი შანსი არ აქვთ და მომავალი წლის არჩევნები აღარ აინტერესებთ, ჯერ კიდევ აქვთ ერთი წელიწადი და იღებენ ყველაფერს, რისი აღებაც შეიძლება. ეს წამსვლელი ხალხი რატომ მისცემს ხმას პრემიებისა და დანამატების აკრძალვას? შემზღუდავი არ ჩანს, ნორმები არ არსებობს, კანონი არ კანონობს, რატომ იტყვიან უარს უფრო მეტ შემოსავალზე? წარმოდგენილ ბიუჯეტში ასეულობით მილიონი ლარია გაწერილი ხელფასებისა და პრემიებისთვის. როგორც წესი, ეს უნდა შეაფასოს ამომრჩეველმა, მაგრამ უკვე ვატყობ, იგივე ამომრჩეველი კვლავ გახვეულია ილუზიებში და გააკეთებს იგივე არჩევანს, რაც 3 წლის წინათ გააკეთა. ვინც სახლში წავა, იმას შერჩება ყველაფერი, გააგრძელებს ცხოვრებას მშვიდად, ვისაც გაუმართლებს და დარჩება, ასევე მოიქცევა მომავალშიც. 2012 წელს მე პირადად ვმუშაობდი ეკონომიკურ კონცეფციაზე, რომელიც შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნოდ გამოიყენა და ამის მიხედვით დაპირებები გასცა. 250-ლარიანი პენსია იყო სრულიად რეალური, ერთი თეთრიც კი არ გახლდათ გადაჭარბებული, მაგრამ ჩამთავრდა არჩევნები, კოალიცია მოვიდა პარლამენტში და ყველას ყველაფერი დაავიწყდა. არადა, საჭირო იყო რეფორმები, კარგი მუშაობა და არა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი“.

ამის მერე როგორ უნდა მოგინდეს არჩევნებზე წასვლა და ხმის მიცემა? რამდენი პარტიაც ავირჩიეთ, რამდენი ხელისუფლებაც მოვიყვანეთ, ყველა მარტო საკუთარ თავზე და ახლობლების კეთილდღეობაზე ფიქრობს. ევროკავშირით მაინც ნულარ „გვაბოლებთ“, რა, ჩვენნისთანა გაღატაკებული ხალხი ევროკავშირს რაში სჭირდება?..

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილის სპეციალური განცხადება: „მინდა მივმართო „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებს, შეწყვიტონ პროტესტის ეს რადიკალური ფორმა“



სახელმწიფო კანცელარიასთან „პატრიოტთა ალიანსის“ შიმშილობის საპროტესტო აქციას პრემიერ-მინისტრი სპეციალური განცხადებით ეხმაურება:

– მსურს, გამოვეხმაურო მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ გამართულ საპროტესტო აქციას.

ობიექტური გარემოებები მიუთითებს, რომ შუალედური არჩევნები კანონის შესაბამისად ჩატარდა და ორივე მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გაიმარჯვა.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, „პატრიოტთა ალიანსმა“ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, საგარეჯოს საარჩევნო ოლქში კონკრეტულ, შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. დარწმუნებული ვარ, პროკურატურა კანონის სრული დაცვით იმოქმედებს. მე პირადად აქტიურად დავაკვირდები და თვალყურს მივადევნებ ამ პროცესს, რათა საზოგადოებას არ დარჩეს კითხვის ნიშნები აღნიშნულთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატმა ირმა ინაშვილმა შეძლო შუალედურ არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ რესპუბლიკელი კანდიდატისთვის, თამარ ხიდაშელისთვის რეალური ოპონირება გაეწია. ფაქტია, ჩვენი ხელისუფლების პირობებში პოლიტიკური გარემო ღია და კონკურენტული გახდა. ეს მმართველი პოლიტიკური ძალისთვის დამატებითი ფაქტორია, რომ ოპონირების პირობებში გაორმაგებული ძალისხმევით იმუშაოს, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ასევე, მიმაჩნია, რომ საარჩევნო კანონმდებლობა გაუმჯობესებასა და დახვეწას საჭიროებს, რაზეც მიმდინარეობს კიდეც მუშაობა. იმედი მაქვს, ამ პროცესში ყველა პოლიტიკური ძალა კონსტრუქციულად ჩაერთვება და კანონმდებლობის გაუმჯობესებაში საკუთარ წვლილს შეიტანს, რათა ყველამ ერთად მივიღოთ ისეთი სტანდარტი, რომელიც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

მინდა მივმართო „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებს, შეწყვიტონ პროტესტის ეს რადიკალური ფორმა და საარჩევნო კანონმდებლობასთან თუ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით მშვიდ გარემოსა და სამართლებრივ ჩარჩოებში, პოლიტიკური დისკუსიის ფარგლებში, გააგრძელონ ოპონირება.

ჩვენ ვართ ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც ორი ეროვნული მასშტაბის არჩევნები, მაღალი საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ჩავატარეთ და საქართველოს მოქალაქეების არჩევანს კითხვის ნიშნის ქვეშ არასდროს დავაყენებთ. (პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ჯარს მიხედე რა, სანამ გამოგათრიე მაგ სამინისტროდან“ – ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს



ირმა ინაშვილი თინა ხიდაშელს გამოეხმაურა. მან პასუხი გასცა ხიდაშელის იმ სტატუსს სოციალურ ქსელში, სადაც მინისტრი პრეზიდენტის მრჩევლის ფიქრია ჩიხრაძის შეხვედრაზე საუბრობდა „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებთან და აცხადებდა, რომ ამ შეხვედრის გამო ჩიხრაძესთან კითხვები აქვს

„ვაფასებ იმას, რომ გამოაგზავნა ქალბატონი ფიქრია ჩიხრაძე. მან, ასევე, მოგვთხოვა ინფორმაცია, ფაქტები, რაც გვაქვს საგარეჯოს არჩევნებთან დაკავშირებით. არავითარი შეფასებები ქალბატონ ფიქრიას არ გაუკეთებია და რომც გაეკეთებინა, რა თინა ხიდაშელის საქმე და პრეროგატივაა. ჯარს მიხედე რა, სანამ გამოგათრიე მაგ სამინისტროდან“, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

შეგახსენებთ, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები საგარეჯოში შუალედური არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ და შიმშილობენ. ისინი „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი მინისტრების გიგლა აგულაშვილისა და თინა ხიდაშელის გადადგომას ითხოვენ, რომლებიც ჩართული იყვნენ ინაშვილის კონკურენტის თამარ ხიდაშელის წინასაარჩევნო კამპანიაში. (timer.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ათენში მასობრივი არეულობაა



ათენში გამართული მასობრივი საპროტესტო აქცია არეულობაში გადაიზარდა. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, ათენში აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკებები მოხდა. დაახლოებით 300 ნიღბიანი ადამიანი პოლიციელებს დაუპირისპირდა და მათ ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები და ქვები დაუშინა. საპასუხოდ, სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

პოლიციის ინფორმაციით, ათენის ქუჩებში 16 ათასამდე ადამიანი გამოვიდა, ბერძენი ჟურნალისტები კი იტყობინებიან, რომ აქციის მონაწილეთა რაოდენობა 50 ათასს აღწევს.

მასობრივი აქციები საბერძნეთში პირველად იმართება მას შემდეგ, რაც ალექსის ციპრასმა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. 12 ნოემბერს ქვეყნის მასშტაბით 24-საათიანი საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა. პროტესტის ნიშნად, დაიხურა სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებები, საავადმყოფოები და აფთიაქები. შეიცვალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკი, შეწყდა სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლა, გაუქმდა 30-ზე მეტი შიდა ავიარეისი, დაიხურა მუზეუმები. გაფიცვას შეუერთდნენ ჟურნალისტებიც, რომლებიც აშუქებენ მხოლოდ გაფიცვასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

მოსახლეობა საერთაშორისო კრედიტორებთან მესამე მემორანდუმის გაფორმებას აპროტესტებს, რომელიც, მორიგი კრედიტის მიღების სანაცვლოდ, პენსიებისა და ხელფასების შემცირებას, ახალი გადასახადების დაწესებასა და სხვა ზომების მიღებას ითვალისწინებს. (ambebi.ge)

## ადვოკატების ცემას ყაჩაღებს რომ მიხედოთ, ვერა?!




თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე „პროკრედიტ ბანკის“ ფილიალი დააყაჩაღეს. წაღებული თანხის ოდენობის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ფაქტზე გამოძიება დაწყებულია 179-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

(ინტერპრესნიუსი)

## პრეზიდენტის გადაწყვეტილება სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის გაუქმებასთან დაკავშირებით, დეკემბერში გახდება ცნობილი



საქართველოს იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განცხადებით, ოდესის ოლქის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ პრეზიდენტის დასკვნა დეკემბერში გახდება ცნობილი.

– აქედან აითვლება ოთხკვირიანი ვადა იმისთვის, რომ მან, როგორც ეს არის ქართული კანონით დადგენილი წესით, ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია წარმოადგინოს. დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩვენ უკვე შეწყვეტის შესახებ დასკვნას წარვუდგენთ საქართველოს პრეზიდენტს, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, – განაცხადა თეა წულუკიანმა. (რეპორტიორი)

## ბოდიში თუ უშველის ქართველ ფეხბურთელებს, კი ბატონო, მაგრამ...




საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ ესტონეთთან წაგებული ამხანაგური მატჩის (0:3) შემდეგ სფფის პრესსამსახურთან საუბრისას აღნიშნა, რომ თამაშში დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს და ქართველ საზოგადოებას ბოდიშს უხდის.

– მინდა, ქართველ საზოგადოებას ასეთი წაგებული თამაშის შემდეგ ბოდიში მოვუხადო. ამხანაგურ მატჩს თავისი დატვირთვა აქვს. ჩვენთვის ყველა თამაში ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად, შედეგიც ყოველთვის მნიშვნელოვანია. ესტონეთის ნაკრებმა დაგვანახა, რომ მატჩი ოფიციალურია თუ ამხანაგური, გუნდი მოედანზე მოსაგებად უნდა გამოვიდეს. პირველი, რაშიც ჩვენ წავაგეთ, ეს იყო მოძრაობა და განწყობა. მე ასე მომეჩვენა და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ვერ შევძელი, გუნდი ფსიქოლოგიურად ისე განმეწყო, როგორი განწყობაც ჰქონდა ესტონეთის ნაკრებს. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ბოლომდე გამომეყენებინა შეცვლები, რათა დამენახა ყველა ფეხბურთელის პოტენციალი. ტყუილად ხომ არ გამოვიძახე ფეხბურთელები, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვის უნდა დავეყრდნოთ მომავალ თამაშებში, სწორედ ეს დატვირთვაც აქვს ამხანაგურ თამაშებს. ჩვენ დავინახეთ, რომ სამი ცენტრალური მცველით საკმაოდ კარგად ვიცავთ თავს. გამოჩნდა, რომ ორი ცენტრალურის თამაშზე გადასვლის შემდეგ ძალიან დიდი სივრცეები გაჩნდა და ინდივიდუალურ სისწრაფეებში წავაგეთ. გარდა ამისა, ბევრჯერ წავაგეთ ინდივიდუალურ ორთაბრძოლებშიც. ამ თამაშს გამოვიყენებთ იმისთვის, რომ გამოვიტანოთ სწორი დასკვნები და იმედია, ის ფეხბურთელები, რომლებიც არ გვყავდა, მოკლე ხანში დაგვემატებიან, – განაცხადა ცხადაძემ. (რეპორტიორი)

## იქნებ სჯობდეს ნახევრად დახეული საქართველოს დროშა ჩამოხსნან და ახალი დაკიდონ?!



საქართველოს სახელმწიფოს ეს დროშა, ამ ფორმით დიღომში აღმაშენებლის ძეგლის პირდაპირ კიდია. ნახევრად დახეული სახელმწიფოს სიმბოლო, ცოტა არ იყოს, უხერხულად გამოიყურება. ხომ არ ჯობია, თბილისის მერიამ ჩამოხსნას და ახალი დაკიდოს? (ნიუპოსტი)

## თბილისის მერიამ 80 ათას ლარამდე ჟანგიან გერბებში გადაყარა



ორიოდე კვირის წინ რუსთაველის პროსპექტზე, ტროტუარზე, თეფშის ზომის ღრმულები გაჩნდა. მოსახლეობა და ალბათ, ტურისტებიც ინტერესით ელოდნენ, რა სიახლე შეემატებოდა დედაქალაქის მთავარ ქუჩას.

ორიოდე დღის წინ ამ ღრმულებში თბილისის გერბი ჩაამონტაჟეს...

ალბათ, მერიაში ვერ გაითვალისწინეს, რომ შემოდგომა-ზამთარში თბილისში წვიმა და თოვლი შეიძლება მოსულიყო – ფაქტობრივად, ყველა გერბს დღეს ჟანგი აქვს მოდებული...

აღმოჩნდა, რომ თბილისის ტურის მანიშნებლების ჩამოსხმა-მონტაჟს კომპანია „ლიკო 1“ ახორციელებს. ერთი ფილის ჩამოსხმა-მონტაჟის ღირებულება 61 ლარს შეადგენს, სულ კი დამონტაჟებულია დაახლოებით 1300 ასეთი მანიშნებელი. (ნიუპოსტი)

**ამის მერე იტყვიან, საქმე გავაკეთეთ, ღამეები ვათენეთ და პრემიებიც გვეკუთვნის, დანამატებიც და პატივისცემაცო...**


დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


**რა უნდა იცოდნენ დასაქმების მსურველებმა, რომ აფიორა არ წამოეგონ? რა თაღლითური სქემები მოქმედებს საავტომობილო სფეროში?**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

– უმუშევრობასთან ქვეყანაში არსებული უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეული თაღლითური ჯგუფები უმუშევრებზე ხელს ითბობენ და სერიოზულ ფინანსურ შემოსავალს ნახულობენ. „ალიასთან“ მსგავს აფიორასთან დაკავშირებით, ადრეც მისაუბრია. ეს დაჯგუფებები, მას მერე, რაც არსებულ სქემას ვუშიფრავთ, პოულობენ ახალს. ამჯერად, მოგვმართეს დაზარალებულებმა და როგორც აღმოვაჩინეთ, თაღლითებს ახალი სქემა მოუფიქრებიათ.

**— რაში მდგომარეობს სიახლე?**

– ეს გახლავთ კარგად ორგანიზებული ჯგუფები, დაახლოებით 7-8-კაციანი, და მათი მთავარი მიზანია, თითოეული მსხვერპლისგან 37 ლარის ამოღება. სქემა არის ასეთი: ცხადდება ვაკანსია, მაგალითად, პიარმენეჯერის ვაკანსიაზე. დაინტერესებული ადამიანი მიდის ამ ორგანიზაციაში, რომ მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული ვაკანსიის შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდეგ, სამსახურის მაძიებელი გადადის შემდეგ ეტაპზე, კონკრეტულად კომისიასთან გასაუბრებას. მესამე ეტაპზე რომ გადადიან, აქ ეუბნებიან, იმისთვის, რომ დაასაქმონ, უნდა გააფორმონ ხელშეკრულება და ამისთვის სჭირდებათ 37 ლარი ანგარიშზე შესატანად. მიდის სამსახურის მაძიებელი და რიცხავს ამ 37 ლარს.

ამის მერე მიდის უკუპროცესი, ადამიანთან, რომელმაც ეს თანხა შემოიტანა, ისე უნდა იმუშაონ ფსიქოლოგიურად, რომ უარი თქვას სამსახურზე. ხვდებიან ამ ადამიანს კომპანიის წარმომადგენლები და ეუბნებიან, რომ მან მათი კომპანიისგან უნდა იყიდოს კონკრეტული პროდუქცია, ეუბნებიან, რომ დასაქმების მსურველებმა ეს უნდა გაყიდონ და თუ შეხედავენ, რომ მათ აქვთ გაყიდვის შნო, ასეთ შემთხვევაში, ისინი გააგრძელებენ მასთან თანამშრომლობას. აქ ხვდება ადამიანი, რომ ის პიარმენეჯერის პოსტზე კი არა, რაღაც ბიზნეს-ოპერატორის ფუნქციაზე ესაუბრებიან, რომელმაც უნდა იმუშაოს დისტრიბუტორის პრინციპით და უკვე იწყებს უკუსვლას. უარს ამბობს ასეთ სამსახურზე და ითხოვს მის მიერ გადახდილ 37 ლარს, მაგრამ ეუბნებიან, რომ აი, გარკვეულ კომპანიას რომ დააკავშირეს და რაღაც მომსახურებები გაუწიეს, ის 37 ლარი მაგისი იყოო.

**— თქვენ თვითონაც აღნიშნეთ, რომ მსგავსი აფიორები წარსულშიც უამრავი გვახსოვს. რით ვერ გაიგო ხალხმა, რომ მსგავსი განცხადებები არის აფიორა და არ უნდა გაებნენ?!**

– ეს ჩვენთვისაა თვალსაჩინო, თორემ ადამიანისთვის, რომელიც წლებია, სამსახურს ეძებს, ნებისმიერი განცხადება მიმზიდველი ჩანს. იხდის იმ 37 ლარსაც იმის მოლოდინში, რომ 300-400 ლარი ექნება ხელფასი, მაინც აქვთ იმედი. სხვათა შორის, ამ ვითომდამსაქმებელი ორგანიზაციების შესწავლამ გვაჩვენა, რომ ამ საქმიანობით დაკავებული არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთი-ორჯერ ნასამართლევებიც არიან. საქმე ისაა, რომ მოტყუებულ ადამიანებს არაფერი ხელჩასაჭიდი არ რჩებათ მათ. ისე „აბოლებენ“, რომ კანონთან წინააღმდეგობაშიც არ მოდიან. ხელშეკრულებაზე ხომ აწერენ ხელს, მაგრამ იქ არ წერია, რა სამსახურს შესთავაზებენ. თანაც, ადამიანმა რომ შს სამინისტროს მიმართოს, იმდენი დაკითხვის პროცედურა უნდა გაიაროს, რომ 37 ლარს კი არა, 300 ლარს კიდევ გადაიხდი, ოღონდაც შეგეშვან. ან უნდა აიყვანოს ადვოკატი, რასაც მინიმუმ 200-დან 500 ლარამდე სჭირდება. უმუშევარს ამის საშუალება სად აქვს?! ამიტომაცაა ეს ყველაფერი ასე გათვლილი, რომ ვერ შეედავონ. ის ეტაპებიც შემთხვევით არაა გასავლელი ხელშეკრულების დადებამდე. კარგად ფილტრავენ ისეთებს, რომლებიც შესაძლოა, მიუხვდნენ, რომ ტყუიან. იტოვებენ ისეთებს, რომლებიც იმ 37 ლარზე ხელს ჩაიქნევენ.

# თაღლითობის სამი ახალი სქემა!



**„ეს გახლავთ კარგად ორგანიზებული ჯგუფები, დაახლოებით 7-8-კაციანი, და მათი მთავარი მიზანია, თითოეული მსხვერპლისგან 37 ლარის ამოღება. სქემა არის ასეთი: ცხადდება ვაკანსია, მაგალითად, პიარმენეჯერის ვაკანსიაზე. დაინტერესებული ადამიანი მიდის ამ ორგანიზაციაში, რომ მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული ვაკანსიის შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდეგ, სამსახურის მაძიებელი გადადის შემდეგ ეტაპზე, კონკრეტულად კომისიასთან გასაუბრებას. მესამე ეტაპზე რომ გადადიან, აქ ეუბნებიან, იმისთვის, რომ დაასაქმონ, უნდა გააფორმონ ხელშეკრულება და ამისთვის სჭირდებათ 37 ლარი ანგარიშზე შესატანად. მიდის სამსახურის მაძიებელი და რიცხავს ამ 37 ლარს.**

**ამის მერე მიდის უკუპროცესი“**



**— კონკრეტული კომპანიის დასახელება შეგიძლიათ?**

– რა თქმა უნდა, შემიძლია და დაგისახელებთ კიდეც, მაგრამ გირჩევთ, არ დაწეროთ. სასამართლოში რომ გიჩივლოთ ამ კომპანიამ, ვიცი, როგორ „უყვარხართ“ მოსამართლეებს და პრობლემები არ შეიქმნათ (კომპანიის სახელწოდებას გვეუბნება, რომელიც სასწავლებელთან და ბიზნესთან ასოცირდება. – დ.ლ.)

კიდევ გავშიფრეთ სხვა თაღლითური სქემებიც და ამაზეც მოგიყვებით, ავტომობილებს ეხება, კონკრეტულად, ავტომობილების ტრანზიტს საქართველოდან თურქეთში. სქემა ასეთია: ჩამოდის თურქი მოქალაქე საქართველოში, რომელსაც აქვს ინტერესი, რომ ავტომობილი გადაიყვანოს საქართველოდან თურქეთში. მაგალითისთვის, „ე“ კლასის „მერსედესი“, რომლის საბაზრო ღირებულებაც 4 ათასი დოლარია, იგივე ავტომობილი, თურქეთის ტერიტორიაზე იყიდება 8-დან 12 ათას დოლარამდე. ამ ფასნამატში შედის განბაჟება და ა.შ.

ხდება ასეთი რამ – როცა თურქეთის მოქალაქე ჩამოდის საქართველოში, გადის რომელიმე საავტომობილო ბაზარზე, ყიდულობს ავტომობილს, იფორმებს. ცოტა ხანში, ეს პიროვნება აკეთებს განაცხადს, რომ მან დაკარგა ტექნიკური პასპორტი. ამ პასპორტს, საპატრულო სამსახური 5 წუთში, ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე უმზადებს მას. გამოდის, რომ ავტომობილის თურქი მფლობელი, ერთი ავტომობილის ორ ტექპასპორტს ფლობს. ამის შემდეგ ეს ადამიანი აკეთებს გენერალურ მინდობილობას ქართველზე, ამ ადამიანს ეს ავტომობილი გადაჰყავს თურქეთის რესპუბლიკაში, თვითონ კი, ეს ავტომობილის გადამყვანი, უკან ბრუნდება აუცილებლად თვითმფრინავით, რომ სარფის საბაჟოზე აღარ გამოიაროს.

**— რა მნიშვნელობა სად წაიყვანს მანქანას ის თურქი, მისია და წაიყვანა თურქეთში...**

– მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ მანქანით გადახვალ, არ გაქვს უფლება, მანქანის გარეშე დაბრუნდე. თუ გაგიფუჭდათ და ამიტომ ვერ მოდიხართ მანქანით, მაშინ შესაბამისი საბუთი უნდა წარადგინოთ საბაჟოზე. შესაბამისად, მანქანა დატოვა თურქეთში, ის ავტომობილი კი, თურქის მფლობელობაშია და მოძრაობს თურქეთში. გადამყვანი ვინც არის, ეს ადამიანი, 6 თვის შემდეგ, კიდევ გადადის საზღვარზე თვითმფრინავით, ჯდება იმ მანქანაზე და გადმოდის ისევ საქართველოში, ანუ, ამ მანქანით, ადამიანმა 6 თვე რომ ისარგებლა, კანონის შესაბამისად, ისევ უნდა გაიაროს იგივე პროცედურები, რომ კვლავ თურქის მფლობელობაში გადავიდეს და ასე, გავსებულია თურქეთი.

**— მერე აქ კრიმინალი რა არის, ხომ ნაყიდი აქვს მანქანა?**

– ამ სქემით ზარალდება ისევ და ისევ ბიუჯეტი, იმიტომ, რომ როდესაც უცხოელი ყიდულობს მანქანას, ის საზღვარზე უნდა გადავიდეს ტრანზიტული ნომრით, უნდა გადაიხადოს განბაჟების ფული, სწორედ ამ ფულს არ იხდიან ასეთი თაღლითობით და ეს აზარალებს ქვეყანას.

კიდევ ერთი სქემა ასეთია – მაგალითად, მე რომ გადავიდე საქართველოდან თურქეთში და თუნდაც ორი ერთნაირი სახის რამე შემოვიტანო, საზღვარზე უნდა განვაბაჟო. მაგალითად, თუ მანქანა მყავს, გადავდივარ საზღვარზე და ვყიდულობ ორ ცალ საბურავს და შემომაქვს, მე მათ აუცილებლად ვანვაბაჟებ. მაგრამ თუ გადავალ, გამოვცვლი ოთხივე საბურავს და შემოვიყვან, არ განბაჟდება.

საქართველოში, ახლა, ხორციელდება ასეთი ბიზნესი – „ვიაიპი“ კომპანიების ბიზნესი მიკროავტობუსებსა და ავტობუსებზე. მათი აღჭურვა საქართველოში, მაგალითად სალონების „ლუქს“ კლასზე გადაწყობა, ხდება რამდენიმე კომპანიაში და ჯდება დაახლოებით 16 ათას დოლარამდე. ამ ბიზნესით რამდენიმე უცხოური კომპანიაა დაკავებული და ისინი ბოლო დროს გახშირებული ტენდენციით შეშფოთებული არიან. ამ კომპანიებს თითოეული დეტალი შემოაქვთ თურქეთიდან და საბაჟოზე უწევთ მათი განბაჟება.

თაღლითური ჯგუფები მიდიან იმ კომპანიებთან, რომლებსაც სჭირდებათ მათი ავტობუსებისა და მიკროავტობუსების აღჭურვა და სთავაზობენ, რომ თუ მათ ავტომობილების აღჭურვა უჯდებათ 16 ათასი დოლარი, ეუბნებიან, რომ იგივეს გაუკეთებენ 9 ათას დოლარად. მინდობილობის საფუძველზე ეს მანქანები გადაჰყავთ საზღვარზე, იქ ხდება მათი აღჭურვა და უკან აბრუნებენ ისე, რომ არც ერთი თეთრის გადახდა არ უწევთ განსაბაჟებლად. ერთია, რომ ძალიან ბევრი კომპანია, ომელიც ბიუჯეტში ფულს იხდიდა, შეეშვა ამ ბიზნესს – უცხოელი ტურისტების მომსახურებას, და მეორეა – ის თანხა, რაც განბაჟებაში უნდა გადაეხადათ ამ კომპანიებს, წავიდა კონკრეტული ადამიანების ჯიბეში და ბიუჯეტმა იზარალა. მივმართავთ შესაბამის უწყებებს, რომ დაინტერესდნენ ამ საქმეებით და გამოიკვლიონ ეს აფიორიები.

**რედაქციისგან: ბევრ პატიოსან გადასახადის გადამხდელს შეიძლება ნერვებიც მოეშალოს, მე თუ ვიხდი ესენი რას მამაძაღლობენო, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ვინც იხდის, იმას რა ხეირი? ხელისუფლებას არც გაჭირვებული ახსოვს, არც პენსიონერი, ბიუჯეტის ხარჯზე პრემიებსაც იწერენ, გართობა არ აკლიათ ფუფუნებაში ცხოვრება...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მოშიმშილეებს პოლიეთილენის გამოყენებით დამზადებული მომცრო თავშესაფარი აალებინეს“



„ობიექტივის“ ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია სოციალურ ქსელში წერს, რომ მთავრობის ადმინისტრაციის წინ მოშიმშილეებს პოლიეთილენის გამოყენებით დამზადებული მომცრო თავშესაფარი პოლიციამ აალებინა.

– კანცელარიასთან მოშიმშილეებს აალებინეს ე.წ. ბრეზენტი, რომელიც მათ წვიმისგან იცავდა. მიზეზი დედაქალაქის იერსახის დამახინჯებაა და როგორც ჩანს, მთელი თვე გადათხრილი წერეთელი, ავტობუსისხელა ორმოები, შეჩერებული მშენებლობები და ათასი ნარმანიული წარმონაქმნი უხდება დედაქალაქს და ამშვენებს.

გორშიც და ქობულეთშიც ასეთივე მიდგომაა.

თბილისის მერი არ არის წინააღმდეგი, მთავრობის კანცელარიასთან მოშიმშილეებმა კარავი გაშალონ ან წვიმისგან თუ ქარისგან დამცავი მინიკონსტრუქცია დაამონტაჟონ; მიუხედავად ამისა, პოლიციელებმა მოშიმშილეებს პოლიეთილენის გამოყენებით დამზადებული მომცრო თავშესაფარი აალებინეს. შიმშილობის აქცია ღია ცის ქვეშ გრძელდება.

მოშიმშილეთა ორმაგი წამება გრძელდება. აქცია ღია ცის ქვეშ მიმდინარეობს, – წერს ჩაჩიბაია. (mpress.ge)

## „კანონიერი ქურდი“ ტარიელ ფოცხვერია შესაძლოა, გაათავისუფლონ



სავარაუდოდ, 17 ნოემბერს გახდება ცნობილი, დაევალება თუ არა სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროების ერთობლივ კომისიას ე.წ. კანონიერი ქურდის, ტარიელ ფოცხვერიას განთავისუფლება.

საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატებმა სასარჩელო მოთხოვნა წარადგინეს.

ადვოკატები მოითხოვენ, რომ ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას, ფოცხვერიას უკიდურესად დამძიმებული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, დაევალოს მისი სასჯელიდან გათავისუფლება.

აღნიშნულს შეეწინააღმდეგა მოპასუხე მხარე, კერძოდ, მუდმივმოქმედი კომისიის წარმომადგენელი და საქმეში მესამე პირად ჩართული ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი. მთავარ სხდომაზე, რომელიც 17 ნოემბერს დაინიშნა, მოხდება მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი მასალების გამოკვლევა. შესაძლოა, დაიკითხოს ექიმიც, რომლის დასკვნაში ფოცხვერიას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არის საუბარი. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## 1 თვის კატო სულაძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება



პატარა, 1 თვის კატო სულაძეს საზოგადოების დახმარება სჭირდება. მას დაუდგინდა ლეიკემია. პატარა მოთავსებულია იაშვილის სახელობის კლინიკაში და ესაჭიროება პირველი ჯგუფის რეზუს უარყოფითი სისხლი. კატოს მდგომარეობა მძიმეა. საკონტაქტო პირი: კატო სულაძის მამა თორნიკე – 571386363, 558200500. (kvira.ge)

**„ალიამ“ უკვე შესთავაზა დახმარება თორნიკე სულაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ ბავშვს სისხლი სასწრაფოდ სჭირდება.**

**გთხოვთ, გამოიჩინეთ გულისხმიერება და ერთად დავუდგეთ გვერდში პატარა კატოს!!!**

## სალომე ზურაბიშვილი სანდრა რულოვსზე: მრავალსაუკუნოვანმა ქვეყანამ მიიღო ჰოლანდიის სოფლის ქალი



„საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელში საქართველოს ყოფილ პირველ ლედისთან დაკავშირებით სტატუსს აქვეყნებს. ზურაბიშვილი სანდრა რულოვსისადმი მიმართვაში წერს, რომ ყოფილმა პირველმა ლედიმ არ შეიძლება უსაყვედუროს მრავალსაუკუნოვან ქვეყანას, რომელმაც ის მიიღო:

– ეს არ ყოფილა თვით სანდრას სიტყვები, არამედ მისი გულშემატკივრების განცდების გამოხატვა იყო, როგორც ქვემოთ აღვნიშნე და საჯაროდ ბოდიშს ვიხდი შეცდომისთვის და დაუზუსტებლობისთვის, მაგრამ შინაარსი, მგონი, უცვლელია.

ქვეყნის ყოფილი „პირველი ლედი“ (თუმცა ეს სახელი ნაკლებად მხიბლავს „დედ-უფალი“, ან „პირველი მანდილოსანი“, ან კიდევ სხვა რამ „ჩვენი“, უფრო საინტერესო იქნებოდა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, კიდევ კარგი, სხვა არ დავარქვით რა), როცა აცხადებს თავის მასპინძელ ქვეყანაზე: „ამ ერმა საერთოდ დაკარგა სახე და ყველაზე დიდ კრიმინალურ ერთობად ჩამოყალიბდა დედამიწაზე“, როცა გვსაყვედურობს, რომ მან ეს ქვეყანა გაითავისა და არაფრად თვლის იმას, რომ ამ მრავალსაუკონოვანმა ქვეყანამ ასევე მიიღო ეს ჰოლანდიის სოფლის ქალი, ეს შეიძლება პირად წყენას დააბრალო, თუმცა მიუღებელია ჩვეულებრივ ცივილიზებულ ქვეყანათა შორის ურთიერთობებისთვის.

როცა გვაყვედრის იმასაც, რომ რწმენა შეიცვალა, იმდენიც არ ესმის, რომ მისი და ჩვენი რწმენა ერთი და იგივე ქრისტიანობაა და, რომ საერთოდ ორჯერ მონათვლა ერთი ღმერთის წინაშე დიდი ცოდვაა, ეს უკვე მის უვიცობაზე მეტყველებს.

მაგრამ ყველაზე ამაზრზენი ის არის, როცა, საერთოდ, „ერს“ აბრალებს მასზე ცილისწამებას ორგანოებით ვაჭრობის ბრალდებების გამო. ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ასეთი ბრალდება უნდა გაჟღერდეს მტკიცებულების გარეშე, მაგრამ, მაინტერესებს მისი „პირველლედობის დროს“ რამდენი ადამიანი, სრულიად უდანაშაულო და ცრუ ბრალდებებით ციხეში ჩასმული და განადგურებული, ან მოკლული, რომელზე გამოთქვა „ლედიმ“ რაიმე წუხილი, ან თუნდაც ინტერესი გამოხატა? მაგალითად, ირინა ენუქიძის მიმართ!

ქალბატონო პირველო ლედი, იმდენი უნდა იცოდეთ, რომ ამ ქვეყნად არც ერთი ერი, არც გერმანელები ებრაელების გაწყვეტაზე, არც ამერიკელები ინდოელების მოსპობაზე, არც რუსები თუნდაც საქართველოს ეკლესიების მოხატულობის წაშლაზე, არც არც არც ერთ შემთხვევაში ერი არ ატარებს ასეთ პასუხისმგებლობას. თუ ვინმე, კონკრეტული პირები, როგორც, მაგალითად, თქვენი მეუღლეა (ან კიდევ პირადად თქვენ, რამეთუ არ გამოვრიცხავ, თქვენც იყოთ გარეული, მაგალითად, გაუმართავი ყვითელი ავტობუსების შემოყვანის სქემაში, ან კიდევ, საქართველოს ბაზრის ჰოლანდიური ყვავილებით შევსებასა და ქართული ყვავილის გაქრობის საქმეებში) და მისი გარემოცვა, მაგრამ ერის კოლექტიური პასუხისმგებლობა არ არსებობს. ღვთის შვილმაც კი, ჯვარზე რომ აცვეს, არ დააკისრა ებრაელთა ერს ასეთი უმძიმესი პასუხისმგებლობა. ვინ ხართ თქვენ, რომ ამის უფლებას იღებთ თქვენს თავზე?! თან იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც გაგხადათ „ლედი“ არაფრიდან. ზრდილობა, ზრდილობა და აღზრდა, სხვა ვერაფერს ვერც გეტყვით.

სამეგრელოსა და ზვიადის ხსენება არ გიშველით, რამეთუ არა მგონია, რომ თავისი ერის გამლანძღველს, ან ერთს – გუშინ, ან მეორეს – დღეს, პატივი ეცა, – წერს სალომე ზურაბიშვილი. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როდის დაიწყება საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება და 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

რაც შეეხება კერძო სკოლებს, ისინი თავად განსაზღვრავენ არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღებს. (kvira.ge)

## „ისლამური სახელმწიფო“ რუსეთს სისხლის მდინარეებით ემუქრება



ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ „ისლამური სახელმწიფოს“ ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა, რომელშიც ექსტრემისტები რუსეთს სისხლიანი შეტევებით ემუქრებიან. ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს. ჯგუფ **SITE**-ის ინფორმაციით, რომელიც ჯიჰადისტების პროპაგანდას აკვირდება, „ისლამურმა სახელმწიფომ“ ვიდეო რუსულ ენაზე გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლში, რომელშიც მკვლელობის უამრავი კადრია, ნათქვამია, რომ „ძალიან მალე სისხლის ზღვა დაიღვრება“.

შეგახსენებთ, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ პასუხისმგებლობა აიღო ეგვიპტეში რუსული **A321**-ის აფეთქებაზე, რის შედეგადაც 224 ადამიანი დაიღუპა. ის, რომ თვითმფრინავში ბომბი აფეთქდა, ბრიტანული და ამერიკული დაზვერვის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. (kvira.ge)

## საყოველთაო ინტერნეტიზაციის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ინტერნეტი 500-მდე სოფელს ექნება



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტის განხორციელება დაიწყო.

პროექტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 150 მილიონი დოლარია, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით განხორციელდება. პროექტის მიზანია, საქართველოს ყველა რეგიონისა და სოფლების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაფარვა.

პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს 10 რეგიონის – აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი – 500-მდე სოფლისთვის.

პირველი ფაზის დასრულების შემდეგ ინტერნეტით ისარგებლებს აჭარის 44 სოფელი, მათ შორის ნიგაზეული, საჩინო, კოხი, ქედა, მნათობი, ახალსოფელი, ზედა ახალშენი; გურიის 30 სოფელი, მათ შორის, ნიგვზიანი, ქვიანი, ლესა, ბოხვაური, გვიმბალაური, აცანა; იმერეთის ასზე მეტი სოფელი, მათ შორის, ზედა ვანი, სულოური, შუამთა, მუხურა, ზედა საზანო, ჩხარი, ივანწმინდა, ჭალა, გორისა; კახეთის 20-ზე მეტი სოფელი, მათ შორის ზემო ბოდბე, მუკუზანი, ჩალაუბანი, წითელწყარო, გამარჯვება, ზემო ხოდაშენი; ქვემო ქართლის 50-ზე მეტი სოფელი, მათ შორის ბეშთაშენი, სამშვიდე, ქვემო სარალი, მუხათი, წინწყარო, წალკა, აიაზმი; სამეგრელო-ზემო სვანეთის სოფლები სუჯუნა, წილორი, სამიქაო, ქოლობანი, საგვაზავო, გაღმა ზანათი, მუხური, სარაქონი, კირცხი; შიდა ქართლის სოფლები კარალეთი, ქვემო რეხა, ბერბუკი, კავთისხევი, დიდი სათივე, ზემო ოსიაური და სხვა.

საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში ინტერნეტი საქართველოს 2000 სოფელში შევა და მთლიანობაში ხელმისაწვდომი მოსახლეობის 91 პროცენტისთვის გახდება. (kvira.ge)

## დიდი ვინმეებიც თქვენა ხართ!



ანდრო ბარნოვის მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ დატოვების ფაქტს პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ბარამიძე ეხმაურება და აცხადებს, რომ ბარნოვი რჩება მათ თანამოაზრედ. – მნიშვნელოვანია თითოეული ჩვენგანისთვის, ჩვენი საზოგადოებისთვის, რომ იყოს სოციალურად აქტიური ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი მსოფლმხედველობა, შეხედულებები და რომელიც თავის საქმიანობას განახორციელებს როგორც პოლიტიკურ ჭრილში, ასევე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი და ვფიქრობ, ჩვენ ყველამ, მას წარმატება უნდა ვუსურვოთ. ცხადია, ჩვენ ვიყავით და ვართ თანამოაზრეები და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით, მან უფრო ნაყოფიერი საქმიანობა განახორციელოს, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელმა, – განაცხადა ბარამიძემ. (პირველი რადიო)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# კახა კუკავა: „აბა, რა ჯანდაბად მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელმაც საშიმშილოდ გამიხადა საქმე და იმდენად ვკიდივარ ფეხებზე, რომ მოსაკითხადაც არ მოდის“



**ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ „ალიას“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე, კახა კუკავა ესაუბრება:**

**— კახა, პარლამენტმა თქვენი, ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ შეგროვებული 250 000 კაცის ხელმოწერა არ მიიღო, რომლის საფუძველზეც საარჩევნო კოდექსის შეცვლას ითხოვდით? რატომ გტკიცათ უარი პარლამენტმა?**

– ეს ხელისუფლება ადგას მარგინალიზაციის გზას და ხალხთან დიალოგს გაურბის. ოპოზიციის მიმართ, გარდა ცინიკური განცხადებებისა, სხვა არაფერი მოგვისმენია ამ ხელისუფლებისგან. ეს არის ხელისუფლებების დასასრულის ჟამის დამახასიათებელი სიმპტომები.

**ასე იქცეოდა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება 2002-2003 წლებში, ასე იქცეოდა მიხეილ სააკაშვილი 2012 წელს, ყველას გვახსოვს, გიგა ბოკერიას, ნუგზარ წიკლაურისა და გივი თარგამაძის ანალოგიური რიტორიკა და ამავე გზას ადგას დღეს „ქართული ოცნება“, როცა გია ვოლსკი და თამაზ მეჭიაური აირჩია მთავარ სპიკერებად ოპოზიციასთან ურთიერთობაში. ეს ადამიანები ოპოზიციის იგნორირებისა და დაცინვის მეტს არაფერს აკეთებენ.**

როგორ დაასრულეს შევარდნაძემ და სააკაშვილმა, ეს გვახსოვს და ცხადია, „ქართული ოცნებაც“ ასე დაასრულებს. დღეს საქართველოს ხელისუფლება არის არაადეკვატური, მთელი ქართველი საზოგადოება, მთელი ოპოზიციური სპექტრი, მთელი სამოქალაქო საზოგადოება არის ხელისუფლების წინააღმდეგი. 3 წელიწადში ეს რომ მოახერხო, მართლა ძალიან ბევრი უნდა დააშავო, ძალიან ბევრი ცუდი რამ უნდა გაუკეთო ხალხს. ფაქტია,

**„ქართულმა ოცნებამ“ უმოკლეს ვადაში, 3 წელიწადში შეძლო ხალხისთვის არა თუ თავი მოებეზრებინა, არამედ მოეძულებინა.**

**— არადა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება საარჩევნო კოდექსის შეცვლა იყო. ფაქტია, ამათაც კარგად მოირგეს სააკაშვილის დაწერილი საარჩევნო კოდექსი.**

**— „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებებზე შეგვიძლია, მხოლოდ ვიხალისოთ და ანეკდოტები მოვყვეთ.**

ამ თემაზე სერიოზულად უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი. „ქართულმა ოცნებამ“ ქართველი ხალხი მოატყუა, შეურაცხყო, აბუჩად აიგდო, არც ერთი მთავარი დაპირება არ შეუსრულა. ესენი, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, არიან უსინდისოები. მეტსაც გეტყვით – საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, სააკაშვილის ხელისუფლების დროს, პარლამენტის შენობის წინ, იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერები და აქტივისტები ვშიმშილობდით. დღევანდელი ხელისუფლებიდან ამ აქციაში „ეროვნული ფორუმი“ და „კონსერვატორები“ მონაწილეობდნენ, მათი წარმომადგენლებიც შიმშილობდნენ საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით, ხოლო „რესპუბლიკური პარტია“ და „მრეწველები“ ამ აქციას და ამ მოთხოვნას მხარს უჭერდნენ.

**გესმით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი 6 პარტიიდან 4 თავს იკლავდა, გინდა თუ არა, არ ვარგა ეს საარჩევნო სისტემა და უნდა შეიცვალოსო. დღეს ირმა ინაშვილი და „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ზუსტად იმავე მოთხოვნით შიმშილობენ, ზუსტად იმავე ცვლილებებს ითხოვენ საარჩევნო კოდექსში, რასაც ეს 4 პარტია ითხოვდა სააკაშვილისგან.**

კი, ისინი ამ აქციით საგარეჯოში გაყალბებული არჩევნების შედეგებსაც აპროტესტებენ, მაგრამ მათი მთავარი მოთხოვნა საარჩევნო სისტემის შეცვლაა.

**ამ 4 პარტიიდან ერთი კაცი არ მისულა ირმა ინაშვილთან, არ უკითხავს, რა ხდება, რატომ შიმშილობთო? მორალური პასუხისმგებლობა მაინც არ უნდა იგრძნო, რომ ზუსტად იმავე მოთხოვნით შიმშილობენ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, რა მოთხოვნითაც ადრე შენ შიმშილობდი და ერთი მიდი, მოინახულე მაინც.**

კარგი, დღე და ტელეკამერების თანხლებით ვერ მიდიხარ, მაგრამ ღამე მიდი, ის მაინც უთხარი, რომ მის მოთხოვნებს მხარს უჭერ, მაგრამ მარტოკაცს არაფრის შეცვლა არ შეგიძლია. „ეროვნული ფორუმისა“ და „კონსერვატორების“ წარმომადგენლებს ვგულისხმობ უპირველესად. არა, ამასაც არ აკეთებენ და აქედან დავასკვენი – ეს ხალხი სააკაშვილის დროს რომ შიმშილობდა, მაშინ ფარისევლობდა, საარჩევნო სისტემისა და ანტიდემოკრატიული მმართველობის გამო კი არ ებრძოდა სააკაშვილს, არამედ მინისტრებისა და დეპუტატების სავარძლებისთვის. უკაცრავად და სულ ფეხებზე ეკიდათ და დღესაც ჰკიდიათ ეს ქვეყანა და ხალხი. მთავარია, თავად იყვნენ კარგად... ჩასხდნენ 80 000 დოლარიან ჯიპებში, მოიწყვეს კომფორტული ცხოვრება და აღარ უნდათ იმის გახსენება, რომ ამავე მოთხოვნით ყალბად ხაოდნენ რამდენიმე წლის წინათ.

**— „ქართულმა ოცნებამ“ საგარეჯოს არჩევნები თუ ასე უნამუსოდ გააყალბა ერთი მანდატის გამო, წარმომიდგენია, რას იზამენ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას.**

– მე უკვე წარმოდგენილიც მაქვს და კარგად ვიცი, 2016 წელს რასაც იზამენ. მტერს და ავს, რასაც ესენი გააკეთებენ. არნახული გაყალბება იქნება, ყველა საშუალებას გამოიყენებენ, არჩევნები რომ მოიგონ, სააკაშვილი მონაგონი იქნება ამათთან. თუ, ცხადია, ამის საშუალება მივეცით. ეს რომ ვიცი, იმიტომაც ვუჭერ მხარს ირმა ინაშვილს. ჩვენ, „თავისუფალ საქართველოსა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ ბევრ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, მაგრამ მივედი მათ მხარდასაჭერად. ჩვენ ირმა ინაშვილის მანდატს კი არ ვიცავთ, ჩვენს ხმებს ვიცავთ.

**ახლა თუ გაუვიდათ და შერჩათ ეს გაყალბება, მაშინ 2016 წელსაც გაუვათ და შერჩებათ. თუ ინაშვილმა მიაღწია არჩევნების შედეგების გადასინჯვას, მაშინ 2016 წელს ვერ გაბედავენ ასეთ უნამუსო გაყალბებას და ჩვენი ხმებიც დაცული იქნება.**

როცა მე ნაძალადევში გამიყალბეს არჩევნები, თამარ კორძაიას მოაგებინეს და არავინ არ გამოვიდა ჩემს მხარდასაჭერად, საზოგადოების სათანადო პროტესტი რომ არ მოჰყვა ამას, ამიტომაც მოხდა იგივე საგარეჯოში და იქაც, „რესპუბლიკელთა“ კანდიდატის სასარგებლოდ გაყალბდა.

**— თინა ხიდაშელზე, თავდაცვის მინისტრზე მინდა გკითხოთ...**

– გაყალბების მინისტრს გულისხმობთ?

**— კი, შესაძლოა, ასეც ითქვას... ერთი რამ მინდა გკითხოთ. ვერ ვიხსენებ ვერც ერთი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს, რომელიც ასე თავ-ფეხებიანად ყოფილიყოს ჩართული არჩევნების პროცესში, მით უმეტეს, აქ ერთი ოლქის არჩევნებზეა ლაპარაკი და არა მთელი პარლამენტისა. პრეზიდენტის მრჩეველმა, ფიქრია ჩიხრაძემ მოინახულა მოშიმშილეები და ახლა ფიქრიას გაურჩია საქმე „ფეისბუკით“ — იქ რატომ მიხვედი, მიზეზი დააკონკრეტეო...**

**— სამარცხვინოა, როცა თავდაცვის მინისტრი პრეზიდენტის მრჩეველს, თქვენი თქმისა არ იყოს, საქმეს ურჩევს, რატომ მივიდა მოშიმშილეების მოსანახულებლად**

და მისგან ამ საქციელის მიზეზის დაკონკრეტებას ითხოვს. მეტი რა კონკრეტიკა უნდა ხიდაშელს? როცა არჩევნების გაყალბებისა და საარჩევნო სისტემის შეცვლის მიზნით პოლიტიკური პარტიის ორასამდე მხარდამჭერი ლამის მთელი საქართველოს მასშტაბით შიმშილობს, მათთან ერთად, ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილიც,

**პრეზიდენტის პოლიტიკურმა მრჩეველმა, აბა, რა უნდა ქნას? ცხადია, უნდა მივიდეს მოშიმშილეებთან და სიტუაციაში გაერკვიოს.**

ხიდაშელი ვითომ დიდი ლიბერალი და ადამიანის უფლებათა დამცველი იყო და დღეს ისე იქცევა, როგორც კომკავშირელი, თანაც გასული საუკუნის 20-იანი წლების მაუზერიანი კომკავშირელი. სულ რომ გარეწრები შიმშილობდნენ, სულ აბსურდული მოთხოვნები რომ ჰქონდეთ, ხელისუფლების ვალია, მივიდეს და მათ მოთხოვნებს გაეცნოს, დაელაპარაკოს და თუ მოგვარებადია პრობლემა, მოაგვაროს. აბა, რა ჯანდაბად მინდა ისეთი ხელისუფლება, რომელმაც საშიმშილოდ გამიხადა საქმე და იმდენად ვკიდივარ ფეხებზე, რომ მოსაკითხადაც არ მოდის, კვდები ამ შიმშილობით თუ არა? თინა ხიდაშელი არის გაყალბების მინისტრი, რასაც აკეთებდნენ ადრე მიხეილ მაჭავარიანი, ლევან თარხნიშვილი და ხათუნა გოგორიშვილი, იმავეს აკეთებს, მათი საქმიანობის ღირსეული გამგრძელებელია. მათ შორის, არანაირი განსხვავება არ არის. თინა ხიდაშელს ეს ყველაფერი არ უნდა შერჩეს. საქართველოს სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი ჰყავს და ის სასწრაფოდ უნდა გადადგეს ამ პოსტიდან.

თინა ხიდაშელი „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერია. ეს პარტია თავის დროზე შექმნა საბჭოთა „კგბ“-მ და მის ერთ-ერთ დანაყოფს წარმოადგენდა. ხომ არ დაგავიწყდათ, დავით უსუფაშვილი 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ რომ გაწევრიანდა კომპარტიაში?! 1992 წელს რუსები რომ ტანკებით შემოვიდნენ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დასამხობად, აკი „რესპუბლიკელები“ შეეგებნენ იმ ტანკებს წითელი დროშებით?! „რესპუბლიკელები“ არიან კონფორმისტები, არც პროდასავლელები არიან, რასაც იბრალებენ, არ არც პრორუსულები. როცა კომუნისტები იყვნენ, მშვენივრად იყვნენ კომუნისტებთან, „მოქკავშირის“ დროს „მოქკავშირთან“ იყვნენ ჩახუტებულნი, ახლა ივანიშვილთან არიან თბილად და ტკბილად. არანაირი ფასეულობები და ღირებულებები მათ არ გააჩნიათ, არც ნატო და ევროკავშირი, რისკენაც ვითომ მიისწრაფვიან. „რესპუბლიკელები“ არიან პროგრანტისტები, ნატო იძლევა გრანტებს, ამერიკა და ევროკავშირი იძლევიან გრანტებს და იმიტომ მოისხეს პროდასავლური პარტიის მანტია.

**— კახა, მოდით, ცოტა შორს წავიდეთ. დავუშვათ და „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, ცესკომ ოფიციალურად დადო ეს გაყალბებული შედეგები, ხალხი არ შეეგუა ამას და დაიწყო საპროტესტო აქციები. მერე რა უნდა ქნან? ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ქვეყანაში დიქტატურას დაამყარებენ?**

– თუ არ შეიცვალა საარჩევნო სისტემა, არჩევნებს უეჭველად გააყალბებს „ქართული ოცნება“ და რაც ახლა თქვით, ეგ სრულიად რეალურია. რას იზამენ მერე? დიქტატურას ვერ დაამყარებენ, ეგ სააკაშვილმაც ვერ მოახერხა. მაგათ იგივე ბედი მოელით, რაც სააკაშვილსა და მისი ბანდის წევრებს.

**— რატომ იქცევიან ასე? ნორმალურად მართონ ქვეყანა და კიდევ აირჩევთ ხალხი.**

– არა, მაგათ ჰგონიათ, რომ რადგან ერთი არჩევნები მოუგეს „ნაცმოძრაობას“ ხალხის უპრეცედენტო თავგანწირვით, მუდამ ხელისუფლებაში დარჩებიან, ის ხალხი კი ამათი მადლიერი იქნება 100 წელი მხოლოდ იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილი მოაშორეს. ასე არ არის. ერთხელ, „ნაციონალებს“, კობა ბექაურსა და დათო კირკიტაძეს ვკითხე – ახალგაზრდა ხალხი ხართ, ასეთ საშინელებებს რატომ აკეთებთ, თქვენი ხელისუფლება რომ დასრულდება, მერე ხომ უნდა იცხოვროთ ამ ქვეყანაში, რატომ იხდით ისე საქმეს, რომ აღარ გეცხოვრებოდეთ-მეთქი? კობა ბექაურმა ძალიან გულწრფელად მიპასუხა, – „ნაცმოძრაობა“ 80 წელი იქნება ხელისუფლებაშიო და დათო კირკიტაძეც დასტურის ნიშნად თავს მიქნევდა. ამ ლაპარაკიდან რამდენიმე წელიწადში მოშორდა „ნაცმოძრაობა“. აი, ამათაც ასე ჰგონიათ ახლა, რომ სულ ვიქნებით და ვიქნებითო. მოკლედ, ძალაუფლების ხიბლში არიან ჩავარდნილები და როცა მაგ ძალაუფლებას გამოაცლის ხალხი ხელიდან, გვიანიღა იქნება, იმ ხალხის მოთხოვნით, ვიმეორებ, ბევრი ციხეში წავა და ბევრი ძებნილად იქცევა და ვინც აქ დარჩება, იმათ ხალხი სახეში შეაფურთხებს, სადაც ნახავს. ასე ემართება ყველა ხელისუფლებას, ვინც ხალხს ზურგს შეაქცევს – დაასრულებენ ხელისუფლებას და მერე მოსიარულე გვამებად იქცევიან.



**„ეს ხალხი სააკაშვილის დროს რომ შიმშილობდა, მაშინ ფარისევლობდა, საარჩევნო სისტემისა და ანტიდემოკრატიული მმართველობის გამო კი არ ებრძოდა სააკაშვილს, არამედ მინისტრებისა და დეპუტატების სავარძლებისთვის“**

# აკაკი ბობოხიძე: „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნები არასოდეს გაუყალბებია“

**„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები მთავრობის კანცელარიასთან შიმშილობის აქციას განაგრძობენ და თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრების პოსტებიდან გადაყენებას ითხოვენ. „ნაციონალები“ ირმა ინაშვილის პოზიციას იზიარებენ და აცხადებენ, რომ საგარეჯოში, შუალედური არჩევნები გაყალბდა.**

**თუ რა გზავნილი იყო შუალედური არჩევნების შედეგები „ნაციონალებისთვის“, ამის გარკვევას „for.ge“ დეპუტატ აკაკი ბობოხიძესთან შეეცადა:**

– „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები მიიჩნევენ, რომ საგარეჯოში, შუალედური არჩევნები გაყალბდა. მსგავსი შთაბეჭდილება თქვენც გრჩებათ?

– შუალედურ არჩევნებში მთელი სახელმწიფო აპარატი იყო ჩართული. როდესაც ხელისუფლება არჩევნებს აზერბაიჯანელი მოსახლეობის ხმების ხარჯზე იგებს, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნები გაყალბდა. საქართველოს ხელისუფლებამ პრორუსულ ძალასთან რაფინირებული კანდიდატის დამარცხება არჩევნების გაყალბების გარეშე ვერ მოახერხა, რაც ამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხია. ხელისუფლება ამ არჩევნებშიც და მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც რომ დამარცხდება, ამაში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ გააჩნია, სად და ვისთან მარცხდები. ეს მარცხი იმ პოლიტიკის შედეგია, რომელსაც სამი წლის მანძილზე, ხელისუფლება ახორციელებს. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ გაყალბებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის კოალიციის ე.წ. პროდასავლურ ძალას – „რესპუბლიკურ პარტიას“. მაშინ, როდესაც არჩევნებში სამხედრო ძალების ჩართვა მოხდა, არჩევნებში სახელმწიფო აპარატი ჩაერთო და სუსი გამგებლებს ხვდებოდა, ამ ფონზე, საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ არჩევნები გაყალბდა, მაგრამ ჩვენ ამის კონკრეტული მტკიცებულებები არ გვაქვს, რადგან პროცესს ბოიკოტი გამოვუცხადეთ და მას არ დავაკვირდით. აზერბაიჯანელ მოსახლეობას შეურაცხყოფას არ ვაყენებ და მათი ხმები ნაკლებად წონიანი არ არის, ვიდრე ქართველების ხმები, მაგრამ ცნობილია, რომ ამ ადამიანების ხმებს ყოველთვის ხელისუფლება იმსახურებს.

თამარ ხიდაშელმა ირმა ინაშვილს არჩევნები 500-ზე მეტი ხმით მოუგო და ეს თქვენთვის დამაჯერებელი შედეგი არ არის?

– რა თქმა უნდა, არ არის, რადგან ამ რაოდენობიდან 500 ხმა ჯარისკაცებს ეკუთვნით. თავდაცვის მინისტრი გვეუბნება, რომ თურმე, ჯარისკაცების ერთსულოვანი გადაწყვეტილება გასაგებია, რადგან ინაშვილი პრორუსია და ქართველი ჯარისკაცები რუსული ორიენტაციის კანდიდატს ხმას არ მისცემდნენ. ხიდაშელს გავახსენებ, რომ მას მოადგილედ ის ქალბატონი ჰყავს, რომელმაც თქვა, რომ ქართველი ჯარისკაცები ავღანეთში ფულის გამო დადიან და მათ რწმენასთან და პატრიოტიზმთან არანაირი კავშირი არ აქვთო. ანუ, ეს ის მინისტრია და მას ასეთი მოადგილე ჰყავს. ეს ადამიანები იმას მეუბნებიან, რომ თურმე, ქართველი ჯარისკაცები ხმას პატრიოტულ ნიადაგზე აძლევენ.

– ის ბაზა, რომელზეც თქვენ აპელირებთ, მუხროვანში 2015 წლის იანვარ-თებერვალში განთავსდა. ანუ, მაშინ, როცა თინა ხიდაშელი ჯერ კიდევ დეპუტატი იყო და მისი გამინისტრება არც იგეგმებოდა. სპეცუბნების თემით ხომ არ სპეკულირებთ?

– ძალიან ცუდია, როცა ჯარისკაცები ხმას მაჟორიტარულ ოლქებში აძლევენ. ეს ჯარისკაცები არჩევნებში 2012 წელსაც მონაწილეობდნენ და მაჟორიტარისთვის ხმა მიცემული სადღაც აქვთ. თუ ვინმე საუბარს დაგვიწყებს, რომ საარჩევნო კოდექსი ჩვენ მიერ მიღებულია, ახალ ხელისუფლებას სამი წელი ჰქონდა იმისთვის, რომ კანონი შეეცვალა.

– ინაშვილის მოთხოვნას იზიარებთ, რომ თავდაცვისა და გარემოს დაცვის მინისტრებმა – თინა



ხიდაშელმა და გიგლა აგულაშვილმა პოსტები უნდა დატოვონ?

– ხელისუფლება „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დატოვოს. პოსტებიდან ხიდაშელისა და აგულაშვილის გადაყენება ნაკლებად მნიშვნელოვანი მგონია. შუალედური არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ გააყალბა და არა აგულაშვილმა. ძალიან ვწუხვარ, რომ ამ სპექტაკლში წამყვანი როლი „რესპუბლიკურმა პარტიამ“ იკისრა. ანუ იმ პარტიამ, რომელიც თეორიულად, ყველაზე პროდასავლურ ძალად ითვლება. ინაშვილს იმაში ვერ დავეთანხმები, რომ მან პასუხისმგებლობის ტვირთი „რესპუბლიკელებზე“ გადაიტანოს და ამ პროცესში „ქართული ოცნების“ მონაწილეობა გამორიცხოს, მათ შორის – ბიძინა ივანიშვილის. ინაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ ამ პროცესების წარმმართველი ივანიშვილია...

– არჩევნების გაყალბებაზე „ნაციონალური მოძრაობა“ რომ საუბრობს, ეს უხერხული არ არის?

– უხერხული არ არის. „ნაციონალურ მოძრაობას“ არჩევნები არასოდეს არ გაუყალბებია.

– არც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები? თქვენ ფიქრობთ, რომ გაჩეჩილაძეს სააკაშვილმა მოუგო?

– სააკაშვილმა გაჩეჩილაძეს არჩევნები, თბილისის გარდა, ყველგან მოუგო. მაშინ, თინა ხიდაშელი სააკაშვილს აზერბაიჯანელების პრეზიდენტს ეძახდა და ახლა, როცა თამარ ხიდაშელმა არჩევნები იორმუღანლოს ხმებით მოიგო, მისი აზრი მაინტერესებს. ამ თემის კონტექსტი სამარცხვინო მგონია. აზერბაიჯანელები საქართველოს ისეთივე სრულყოფილი მოქალაქეები არიან, როგორც ქართველები...

– რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, შუალედურმა არჩევნებმა აჩვენა, რომ თქვენ მთავარი ოპოზიციური ძალა არ ხართ...

– უსუფაშვილი ან უვიცია, რასაც ვერ დავაბრალებთ, ან დემაგოგობს. მას ერთი საარჩევნო ოლქის შედეგები რეალურ სურათს ვერ მისცემს. ხელისუფლების უბედურება ისაა, რომ არჩევნების მოგება გაყალბების გარეშე მაშინაც კი ვერ უზრუნველყო, როცა ამ პროცესში მთავარი ოპოზიციური ძალა არ მონაწილეობდა. არჩევნებში მონაწილეობა ჩვენც რომ მიგვეღო, ალბათ, ამ პროცესში მხოლოდ 500 ჯარისკაცს კი არ ჩართავდნენ, არამედ მუხროვანში ნახევარ არმიას განათავსებდნენ.

– ანუ, თქვენ ინაშვილს თქვენი ძალის ალტერნატივად, ან კონკურენტად არ აღიქვამთ?

– მას კონკურენტად არა მხოლოდ ხმების რაოდენობის თვალსაზრისით არ აღვიქვამთ, არამედ როგორც ჩვენგან რადიკალურად განსხვავებული ორიენტაციის ძალად. (for.ge)



# ქალწული მარიამი სჯის ჩვილ იესოს სამი მოწმის თვალწინ



1926 წელს მრავლისმნახველ პარიზის დამოუკიდებელთა სალონში (**Salon des Indépendants**) გამოფენილმა ნახატმა გრძელი სათაურით „ქალწული მარიამი სჯის ჩვილ იესოს სამი მოწმის თვალწინ: ანდრე ბრეტონი, პოლ ელუარი და მხატვარი“ წარმოუდგენელი სკანდალი გამოიწვია.

მხატვარი გერმანული სიურრეალიზმის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი მაქს ერნსტია. თვითონ მაქს ერნსტი 1970 წელს ჟურნალ „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს: ფრანგები ხომ, ურწმუნოების მიუხედავად, ყველანი ძალიან კათოლიკეები არიან, ასე არაა? ასეთ ღვთისგმობას ვერ დაუშვებდნენ; და თან შეურაცხყოფა იმაში კი არ გამოიხატებოდა, რომ პატარა იესოს სცემდნენ. შოკისმომგვრელი იყო ის, რომ შარავანდედი ჩამოვარდნოდა. შარავანდედი, თითქოს შემთხვევით, ზედ მხატვრის ხელმოწერაზეა დავარდნილი. ღიად მდგომი თხელი კედლები ჯორჯო დე კირიკოს მეტაფიზიკურ მხატვრობას გვაგონებს, მაგრამ თვით მთავარი ფიგურები მიზანმიმართულად რენესანსის მხატვრობის (მიქელანჯელო, ტინტორეტო) ასოციაციას იწვევენ. ფერთა შეხამებაც, განსაკუთრებით კი ღვთისმშობლის ტანსაცმლის წითელი და ლურჯი (რაფაელის მადონა მწვანე ბუნებაში) რენესანსზეა ორიენტირებული.

სამი თანამედროვე ხელოვანი: ანდრე ბრეტონი, პოლ ელუარი და მაქს ერნსტი რომ სამი მოგვია, უდავოა, მაგრამ ჩვილ იესოს თაყვანისცემის მაგივრად ისინი დისტანცირებული მოწმეები არიან ამ არასაკრალური ქმედებისა. კლასიკურისა და თანამედროვეს, საეროსა და რელიგიურის კომბინაცია ამ ნახატში სიურრეალისტური რეალობის გაუცხოების თვალსაჩინო მაგალითია.

ამ ნაწარმოების გამოფენიდან ათი წლის შემდეგ ფრანგული ჟურნალი (**kaie d'art**) ყურადღებას ამახვილებს მაქს ერნსტის კათოლიკურ აღზრდაზე. მამამისი კათოლიკე ყრუ-მუნჯთა მასწავლებელი და მოყვარული მხატვარი იყო, რომელიც შვილს ხშირად ხატავდა, როგორც პატარა იესოს, ცოლს კი – ღვთისმშობლის როლში. მაქს ერნსტი იხსენებს, რომ ეს დედას ხელს არ უშლიდა, ბავშვი გაეტყიპა.

იმავე 1926 წელს ნახატი კელნში გამოიფინა. კელნის ეპისკოპოსმა ნახატის სასწრაფოდ ჩამოხსნა მოითხოვა. ეპისკოპოსის წარმომადგენელს კათოლიკეთა შეკრებაზე კელნში, გიურცენიხის დარბაზში, თავისი სიტყვა ასე დაუმთავრებია (თუ მხატვარს ვენდობით): „მხატვარი მაქს ერნსტი ეკლესიისგან განკვეთილია და მე მოვუწოდებ კრებას, სამგზის წარმოთქვას „ფუი“.

მეოცე საუკუნის ეს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები დღეს ლუდვიგის მუზეუმშია გამოფენილი, დიდებული კელნის ტაძრიდან ორიოდ ნაბიჯში.

***ლაშა ბაქრაძე (ლაშა ბაქრაძის ბლოგი)*** (ნეტგაზეთი)

# თემურ შაშიაშვილი: მე არ მაინტერესებს ხალხის აზრი, მე მაინტერესებს ჩემი კაცი პარლამენტში! ხელისუფლება, რომელიც ამ გზით მიდის, ხალხის ხელისუფლება არ არის



„თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი, საგარეჯოში ჩატარებულ არჩევნებს აფასებს და აცხადებს:

„ხელისუფლებამ თქვა, მე არ მაინტერესებს ხალხის აზრი, ნამდვილი არჩევანი, მე მაინტერესებს ჩემი კაცი პარლამენტში. ხელისუფლება, რომელიც ამ გზით მიდის, ხალხის ხელისუფლება არ არის. სამარცხვინოდ მიმაჩნია, რაც ორმა მინისტრმა გააკეთა. თუ აქვს ძალა და ვაჟკაცობა, ბატონ ღარიბაშვილს, ორივე მინისტრი უნდა გაუშვას მთავრობიდან, მთელი სამინისტროები ჩართეს არჩევნების პროცესში, ჯარისკაცები ჩართეს... ჯარს მიაყენეს შეურაცხყოფა, როცა ჯარისკაცებს უთხრეს, კონკრეტულ კანდიდატს მიეცით ხმაო... პირადად მე ნამდვილად არ ვარ ირმა ინაშვილის მომხრე, ვაღიარებ, უდავოდ ნიჭიერი ჟურნალისტია, მაგრამ მისი სტილის, ვგულისხმობ აგრესიულ პოლიტიკას, პოლიტიკოსების პარლამენტში ყოფნის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ის, თუ როგორ ჩაატარა ხელისუფლებამ არჩევნები, არის ქუჩის გზა და რევოლუციის გზა. ჩვენ წინ არჩევნები გველოდება და თუ ხელისუფლება ამის მსგავს ელემენტებს დაუშვებს, მაშინ მართლაც სხვა გადაწყვეტილებაა მისაღები!“ – განაცხადა შაშიაშვილმა. (ივერიონი)

# მეცნიერებმა დაასახელეს 5 სიმპტომი, რომელიც სიმსივნეზე მიუთითებს



სიმსივნით დაავადებული თინეიჯერების ბრიტანული საქველმოქმედო ფონდის მონაცემების თანახმად, ყოველი მესამე სიმსივნე ძალიან გვიან დგინდება – იმ სტადიაზე, როდესაც გადარჩენისთვის ბრძოლა შეუძლებელია. ფონდის მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, მოზარდების, მათი მშობლებისა და ექიმების 29% ყურადღებას არ აქცევენ სიმპტომებს.

მეცნიერებმა სპეციალურად გამოყვეს კიბოს 5 ნიშანი, რომელიც არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვოთ.

1. ხანგრძლივი ტკივილი. თუ რამდენიმე დღის მანძილზე გრძნობთ ტკივილს, რომელსაც ტკივილგამაყუჩებლებიც ძნელად უმკლავდება, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. აუცილებელია ტკივილის მიზეზი გაირკვეს.

2. წარმონაქმნები, კოპები, ლაქები. შენიშნეთ კანქვეშ რაიმე უცნაური? ეს შეიძლება ძალიან ცუდი ამბის მაუწყებელი იყოს. ხშირად სიმსივნე თავს ავლენს, როგორც უცნაური და უმტკივნეულო გამკვრივება. ასეთ შემთხვევაში, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

3. ექსტრემალური დაღლილობა. თუ გამუდმებით მოთენთილად გრძნობთ თავს რეალური მიზეზის გარეშე, ამის მიზეზი შეიძლება არასწორი კვება ან დაავადება იყოს. ასეა თუ ისე, ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოთ.

4. წონის საგრძნობი კლება. თუ ინტენსიურად კარგავთ კილოგრამებს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, სერიოზული სანერვიულო გაქვთ. ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად სიმსივნე გაქვთ, მაგრამ აუცილებელია მიზეზის დადგენა.

5. ხალის ფორმების ცვლილება. მელანომას ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სიმპტომი ხალის ფორმის ცვლილებაა. თუ ერთ-ერთი ხალი მოულოდნელად შეიცვალა ან ფერი იცვალა, ან ფორმა, აუცილებლად მიმართეთ ონკოლოგს. (ambebi.ge)




# სოფელ გავაზში 78 წლის ქალბატონი გარდაცვლილი იპოვეს

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში 78 წლის ქალბატონი გარდაცვლილი იპოვეს. როგორც ცნობილია, ქალბატონს ოჯახის წევრები რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.

არსებული ინფორმაციით, მას მეხსიერების პრობლემები ჰქონდა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# რატომ არ ხსნის ხელისუფლება პოლიტპატიმრების საქმეებზე საიდუმლო გრიფს?



**ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე აცხადებს, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი არ მიმდინარეობს და ამას ხელს უწყობს ხელისუფლებაც, მათ შორისაა, პოლიტპატიმრების საქმეები. რატომ არ ხსნის ხელისუფლება საიდუმლო გრიფს პოლიტპატიმრების საქმეებზე? რა ბედი ეწია ამ საკითხზე პარლამენტში შესულ 44 ათას ხელმოწერას?**

**„ალიას“ ნანა კაკაბაძე ესაუბრა:**

– ვგულისხმობ იმ საქმეებს, რომელთაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ეს გრიფი უნდა მოიხსნას და გასაჯაროვდეს, მოსახლეობამ გაიგოს, რისი გულისთვის იხდიდნენ ეს ადამიანები სასჯელს, ანუ იყო თუ არა მათ საქმეებში რაიმე იურიდიული მტკიცებულება მათ დანაშაულთან დაკავშირებით? გრიფის მოხსნა თავისთავად ნათელს გახდის, რომ მათ ხელისუფლებასთან ჰქონდათ არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური პრობლემები, ანუ მათი დევნის საფუძველი იყო ამ ადამიანების ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასთან შეუსაბამობა. ყოფილ პოლიტპატიმრებს შორის არიან ჟურნალისტები, რომლებიც ჯაშუშობის ბრალდებით იყვნენ დაკავებულები და დღემდე ითხოვენ ამ გრიფის მოხსნას, რასაც ვერ მიაღწიეს. რაშია საქმე? რატომ ხდება, რომ ამ ადამიანების საქმეები არ გადაისინჯა, არ შევიდა კანონში ცვლილება და პოლიტპატიმრის სტატუსი არ ჩაიდო, როგორც ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომ მათი საქმეები გადახედილიყო?

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ არ აკეთებს ამას ხელისუფლება?**

– იმიტომ, რომ ეს არის იმ კოჰაბიტაციური პოლიტიკის შედეგი, რომელიც ხელისუფლებამ მოსვლისთანავე დაგვიანონსა – ჩვენ სამართლიანობის აღსადგენად კი არა, კოჰაბიტაციისთვის მოვედითო. ის არასწორი პოლიტიკა, რომელიც მათ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აირჩიეს, დღესაც უქმნის პრობლემას ხელისუფლებას და ქართველ საზოგადოებას, რადგან ვერავინ ვერ იპოვა ქვეყანაში სამართალი, იგივე პროკურორები და მოსამართლეები არიან. წარმოიდგინეთ, 190 პოლიტპატიმარია.

**— აქედან რამდენ საქმეს ადევს გრიფი „საიდუმლო“?**

– დაახლოებით, 5-6 საქმეა ამ გრიფით, თუმცა ამ საქმეებში რამდენიმე ადამიანი შედის, იგივე „ენვერის“, „მფრინავების“ საქმე ავიღოთ. ჯერ კიდევ 2013 წელს 11 018 ხელმოწერა გადავუგზავნეთ პარლამენტს სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით. განხილვა რომ დაიწყო, შემდეგ კიდევ 23 ათასი ხელმოწერა დამატებით ჩავუტანეთ სახელებით, გვარებით, პირადობისა და ტელეფონის ნომრებით და მეტი რაღა გვექნა? არ დაადგეს საშველი... ხელისუფლებას არც მაშინ ჰქონდა ამის ნება და დღესაც იმავეს აგრძელებს, ადრე გვეუბნებოდნენ, რომ მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი იყო სუსტი და იმიტომ ვერ ხერხდებოდა ეს, რამდენი მთავარი პროკურორი უნდა გამოვიცვალოთ, რომ ეს პროცესი დაიწყოს? აქ ამის პოლიტიკური ნება არ არის, თორემ ამის დაწყებას დიდი არაფერი უნდა.

**იმის გასარკვევად, თუ რა ბედი ეწია, ან რას აპირებენ საიდუმლო გრიფთან დაკავშირებით, „ალიამ“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან და მის მოადგილე გედევან ფოფხაძესთან სცადა, მაგრამ არც ჩვენს ზარებს უპასუხეს და არც „მესიჯებს“.**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ოპოზიცია ხელისუფლებისგან დიალოგის დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვს



ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას დიალოგისკენ მოუწოდებენ. განცხადებას 13 ოპოზიციური პარტია აწერს ხელს.

„უკანასკნელ პერიოდში საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებულმა მოვლენებმა (სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვა, 240,000 ხელმოწერა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის, პარლამენტში ინტერპარტიული კომისიის ინიცირება, შუალედური არჩევნები 31.10.2015, მიმდინარე საპროტესტო-შიმშილობის აქცია) კიდევ უფრო ნათელი გახადა პრობლემათა სიმწვავე და ცხადყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგის აუცილებლობა.

ჩვენ, ოპოზიციური პარტიების ლიდერები, მოვითხოვთ ხელისუფლებისგან – კოალიცია „ქართულ ოცნებისგან“ დიალოგს საარჩევნო გარემოს პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით: 1. პარლამენტის საარჩევნო სისტემა; 2. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი; 3. უფასო სარეკლამო საეთერო დრო; 4. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვა.

იმედი გვაქვს, რომ ზემოხსენებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით ხელისუფლება დროულად მიიღებს საკანონმდებლო გადაწყვეტილებას. ჩვენის მხრივ, ვადასტურებთ მზადყოფნას დიალოგისთვის ფართო კონსენსუსის მისაღწევად“. – ნათქვამია განცხადებაში

ახალი მემარჯვენეები – მამუკა კაციტაძე; გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა – ნინო ბურჯანაძე; ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – ბაჩუკი ქარდავა; თავისუფალი საქართველო – კახა კუკავა; თავისუფლება – კონსტანტინე გამსახურდია; რეფორმატორები – ირაკლი ღლონტი; სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისთვის – ზურაბ ხარატიშვილი; საქართველოს ევროპელი დემოკრატები – პაატა დავითაია; საქართველოს ლეიბორისტული პარტია – შალვა ნათელაშვილი; საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა – გია ბერძენიძე. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი – აკაკი ასათიანი; ქრისტიან-დემოკრატიული პარტია – გრიგოლ ჯოჯუა (ნიუპოსტი)

## „უნდა ძველი ბიჭივით ილაპარაკოს“



საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი, თბილისის მერის იმ განცხადებას აფასებს, რომლის მიხედვითაც მას არ აინტერესებს, რას ფიქრობს ოპოზიცია და მისმა ოპონენტებმა ბიუჯეტის შესახებ არაფერი იციან. „ძალიან სასაცილოდ იხდის თავს, იმიტომ, რომ უნდა ძველი ბიჭივით ილაპარაკოს და მას ეს არ გამოსდის, იმიტომ, რომ ბუნებით არ არის ასეთი და ძალიან ღიმილის მომგვრელია მისი ასეთი პოზა, რაც შეეხება ოპოზიციის ლანძღვას, ეს არის ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოვლენა, იმიტომ, რომ ჩვენ გვყავდა ერთი ეგეთი კაცი, ახლა რომ ოდესაში მუშაობს, რომელიც ყოველთვის აბუჩად იგდებდა ოპოზიციას და ეს არის ძალიან ცუდი, ეს გვაქვს ნანახი და ეს არის ქვეყნისთვის და ქალაქისთვის ცუდი. იგივეს რატომ იმეორებენ პოლიტიკოსები, ამას ვერ ვხვდები. ნარმანიას რომ ამდენ ხანს ოპოზიციისთვის მოესმინა, შეიძლება ისეთი საცოდაობა მისი მერობა არ ყოფილიყო და აქამდე არ მისულიყო. ოპოზიციას თუ ყურს დაუგდებს, მისთვის იქნება კარგი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ იქნებ ახლა მაინც მოახერხოს და რეალურად გახდეს მერი, იმიტომ, რომ ყველამ იცის, ის არაფერზე არ იღებს გადაწყვეტილებას. ამდენად თავის თავს აზიანებს ასეთი დამოკიდებულებით ნარმანია და არა სხვას“, – განაცხადა ელისაშვილმა. (პირველი რადიო)

# რატომ გამოუშვეს კახა მიქაია საკრებულოდან?



**ზუგდიდის საკრებულოში „ქართული ოცნების“ სიით გასული უპარტიო დეპუტატი კახა მიქაია, ზუგდიდის საკრებულომ თანამდებობიდან გაათავისუფლა.**

**რა გახდა მიქაიას განთავისუფლების მიზეზი? ვინ დაუპირისპირდა მას ფიზიკურად და რა კავშირშია ზუგდიდში „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე ბაჩო ახალაიასთან?**

**„ალიას“ კახა მიქაია ესაუბრა:**

**— თქვენ ხალხის არჩეული იყავით. საკრებულოდან რანაირად გამოგიშვეს?**

– რამდენიმე თვე არ დავდიოდი საკრებულოს სხდომებზე, რასაც ჩემი განთავისუფლება მოჰყვა. თუმცა მე ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, 25 წელია, მათ წინაშე ვარ პასუხისმგებელი. მე ახლა საკრებულოს სახით დავკარგე სახელისუფლებო ტრიბუნა, რომელიც არც მანამდე მქონია, მაგრამ ეს ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. მე გავაგრძელებ „ოცნებაში“ პორტირებული „ნაცების“ მხილებას, რომლებიც შიგნით საბოტაჟით არიან დაკავებულები. ჟურნალისტების, მედიის დახმარებით, 25 წელი ისმოდა ჩემი ხმა, ასეც გავაგრძელებ და პირდაპირ ვამბობ: ამომრჩევლის წინაშე არავითარ შემთხვევაში არ მოვიხსნი პასუხისმგებლობას! მე ვერ დავჯდებოდი იმ საკრებულოში, სადაც საკრებულოს თავმჯდომარე კუდ-ის ყოფილი თანამშრომელია; სადაც გამგებელი არის ყოფილი, ცნობილი ნაციონალი და არჩევნების გამყალბებელი; სადაც „ქართული ოცნების“ ფრაქციის თავმჯდომარე არის ბაჩო ახალაიას ხელისბიჭი. მათ ვერ აიტანეს, ხაზს ვუსვამ, პოზიტივისკენ მიმართული კრიტიკა, ყველა ჩემს ინიციატივასა და წინადადებას, რომელსაც მე ვაყენებდი თავად „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ, ისინი ხვდებოდნენ წინააღმდეგობებით. შემდეგ ეს გადაიზარდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში. ხალხი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცის, რომელსაც არ შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა და ვერ იტანს კრიტიკულ აზრს, შემდეგ ძალადობაზე გადადის.

**— კონკრეტულად, ვინ დაგიპირისპირდათ ფიზიკურად?**

– საკრებულოს თავმჯდომარე, მისი ნათესაობა, მორფინისტი ცოლისძმა, გამგებლის დები, ძმები, მეზობლები, სიძე, რძალი, პატარძალი... ნეპოტიზმი ხარობს და ყვავის ჩვენთან საკრებულოში, ესენი არიან პორტირებული „ნაციონალები“ და როდესაც ჩემს კითხვებს, ჩემს ობიექტურ შენიშვნებს, ჩემს წინადადებებს მათ, ძალადობის გარდა, ვერაფერი დაუპირისპირეს, მე ავირჩიე ფორმა – ეს არის ბოიკოტი და არ დავდიოდი საკრებულოში, რადგან მათ არაფერი გააკეთეს სიტუაციის გამოსასწორებლად. მას შემდეგ, რაც 6 თვე გავიდა საკრებულოში ჩემი არმისვლიდან, რეგლამენტშიც ასეა – მათ მომიხსნეს უფლებამოსილება. მე პირიქით, სიხარულით შევხვდი. ჩემს იქ ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან მთელი „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც „ოცნებაშია“ ახლა პორტირებული, პირადად მებრძვის და პირდაპირ მინდა გითხრათ: „ნაციონალურმა ოცნებამ“ „ქართული ოცნების“ სახელით იძია შური ჩემზე. ჩემთვის საინტერესო აღარ არის ოროსნების საკრებულო, ამიტომ დამილოცნია მათთვის დეპუტატობაც და ყველაფერიც.

**— თქვენი სამომავლო გეგმები როგორია, რას აპირებთ?**

– თქვენი, ჟურნალისტების, მეშვეობით, მე ისევ ვიქნები აქტიური და არც ერთ პრობლემატურ საკითხს არა მხოლოდ ზუგდიდში, ან სამეგრელოში, არამედ მთლიანად საქართველოში არ დავტოვებ რეაგირების გარეშე...

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უდაბნო აფრიკაში
2. კაზინოს თანამშრომელი
3. ბანდის წევრი
4. წნევის საზომი ხელსაწყო
5. სამაგიდო თამაში
6. წელზე შემოხვეული ხელები
7. საკვების ენერგიის ერთეული
8. სახელმწიფო აფრიკაში
9. ლენონის ქვრივი
10. გეომეტრიული ფიგურა
11. მსახიობი მიკი ...
12. მასწავლებელი
13. ფასიანი ქაღალდი
14. კაპიტან ნემოს გემი
15. თეფში
16. ხის ჯამი
17. წითელი სითხე სხეულში
18. ვიოლინოების ოსტატი ანტონიო ...
19. გმირი ქაქუცა ...
20. ხორთუმიანი ცხოველი
21. თვითმფრინავების სადგომი
22. სარჩო. მამა უხდის შვილს
23. „მატრიცა" კერი-ენ ...
24. ალაოს შაქარი
25. მხ/ფ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" სოფიკო ჭიაურელის როლი
26. პიპინიას ვაჟი
27. გადაადგილების საშუალებები
28. მსახიობი ... სმიტი
29. ბულგარული არაყი
30. ნავსადგური
31. მწერალი ... კოლოდი
32. წყლის ტრანსპორტი
33. ყველაზე რბილი მინერალი
34. მთათა სისტემა ამერიკ. კონტინ.
35. ცურვის სტილი
36. მოსამართლე აღმ. ქვეყნებში
37. ... გათეთრების ყორანი
38. რეჟისორი ალფონსო ...
39. ფეთქებადი ნივთიერება
40. ქალაქი შვეიცარიაში
41. საეკლესიო წესების კრებული
42. მინდვრის ყვავილი
43. ტენორი მარიო ...
44. დინამიტის გამომგონებელი
45. შოლოხოვი. „წყნარი ..."
46. კვერცხის თეთრი შიგთავსი
47. აუქციონზე გატანილი ნივთი
48. ლიხტენშტაინის დედაქალ.
49. ინდიელების ვარცხნილობა
50. პოეტი ... ახმადულინა
51. „ოცი წლის შემდეგ" კარდინალი
52. ხილი
53. მსახიობი ედრიან ...
54. რიკი-ტიკი-ტავი (ცხოველი)
55. შხამიანი გველი
56. ჯანმრთელი, ანუ ...
57. თავის ჩონჩხი
58. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
59. ნიშნავს საწინააღმდეგოს
60. ჩუქურთმა
61. კოსმოდრომი ყაზახეთში
62. მსახიობი ... აფლეკი
63. რეჟისორი ... რიჩი
64. ... ცეტკინი
65. მსახიობი ... დელონი
66. მომღერალი ... პრესლი
67. ზლოტის მეასედი
68. ოთხკაციანი ანსამბლი
69. ცხენის კუდის ბალანი
70. ინგლისის პოლიცია
71. პოეტების საკრებულო მთა
72. გემის მოძრაობის მიმართულება
73. ტურინის საფეხბურთო კლუბი
74. სახელმწიფო დაფინანსება
75. სოხუმის ანტიკური სახელწოდება
76. თამაში ხის ჯოხებით
77. იგი წამლებს ამზადებს (პროფეს.)
78. ფუტკრების სახლი
79. წყალქვეშა კლდე
80. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
81. მარილიანის გემო
82. საზეიმო წვეულება
83. ნიშნავს ორს
84. თბილისის უბანი
85. მონათა აჯანყების ხელმძღვანელი
86. ქვეყანაში შემოტანილი საქონელი
87. „დრაკულა" ავტორი
88. მეცნიერი მიხეილ ...
89. მულტფილმი „სიმფსონები" ... სიმფსონი
90. მწერალი ... იოსელიანი
91. მეცნიერება თევზების შესახებ
92. სასვენი ნიშანი
93. პატარა ფორმის ნამცხვარი
94. სამეჯლისო ცეკვა
95. წიწაკა, მარილი, ვანილი
96. დიდი ჰამბურგერი
97. სიმსივნის ფორმა
98. ბულგაკოვი „... და მაგარიტა"
99. დიზაინერი კრისტიან ...
100. შექსპირი. „... არაფრის გამო"
101. ქალი, ანუ ...
102. ხის ბაყაყი
103. მწერალი ... ბრაუნი
104. მხ/ფ „ემანუელა" სილვია ...
105. სიგრძის ერთეული ინგლისში
106. ინგლისური ლუდი
107. მიწა, ნიადაგი
108. „მაუგლი" მგელი
109. დიდი ციგა
110. ჯაშუში ქალი ... ჰარი
111. ზანგისა და ევროპელის შვილი
112. ფეხბურთელი ... მესი
113. პოეტი ... წერეთელი
114. პოპოვის გამოგონება
115. რეჟისორი შოთა ...
116. უქონჩრო თუთიყუში
117. სამხედრო ფორმის ქურთუკი
118. რეჟისორი გიორგი ...
119. ამერიკელი მომღერალი ქალი
120. ნაკურთხი წყალი
121. კაენის მსხვერპლი
122. ხაფანგი
123. ძვირფასი ლითონი
124. ამოთხრილი ადგილი
125. მომღერალი ... გეგელია
126. მომღერალი ... მინოუგი
127. სამხრეთ აფრიკული ფულის ერთეული
128. მხ/ფ „... რეისი"
129. ძაღლის ჯიში
130. ცხენირემი
131. უმაღლესი ხარისხის მინა
132. მიმიკის უქონლობა
133. მსახიობი ... თურმანი
134. მზის ღმერთი ეგვიპტეში
135. ინდიელის ფეხსაცმელი
136. რეჟისორი ... ლი
137. მოჭადრაკე ... კუშნირი
138. კამეტა. ჩაუფრენს ხოლმე დედამიწას
139. ყვავილი
140. ამფიბია
141. ტაბლეტი
142. ლანგარი
143. ... მოგივა დავითაო

პასუხები: 1. საჰარა; 2. კრუპიე; 3. ბანდიტი; 4. ბარომეტრი; 5. დომინო; 6. დოინჯი; 7. კალორია; 8. რუანდა; 9. ონო; 10. რომბი; 11. რურკი; 12. პედაგოგი; 13. ობლიგაცია; 14. 'ნაუტილუსი"; 15. საინი; 16. გობი; 17. სისხლი; 18. სტრადივარიუსი; 19. ჩოლოყაშვილი; 20. სპილო; 21. ანგარი; 22. ალიმენტი; 23. ტრინიტი; 24. მალტოზა; 25. ტასია; 26. აგული; 27. ტრანსპორტი; 28. უილ; 29. რაკია; 30. პორტი; 31. კარლო; 32. ნავი; 33. ტალკი; 34. კორდილიერები; 35. კროლი; 36. ყადი; 37. არ; 38. არაუ; 39. ამონალი; 40. ლოზანა; 41. ტიპიკონი; 42. გვირილა; 43. ლანცა; 44. ნობელი; 45. დონი; 46. ცილა; 47. ლოტი; 48. ვადუცი; 49. იროკეზი; 50. ბელა; 51. მაზარინი; 52. ვაშლი; 53. ბროუდი; 54. მანგუსტი; 55. ეფა; 56. საღსალამათი; 57. ქალა; 58. ვარიანი; 59. ანტი; 60. ორნამენტი; 61. ბაიკონური; 62. ბენ; 63. გაი; 64. კლარა; 65. ალენ; 66. ელვის; 67. გროში; 68. კვარტეტი; 69. ძუა; 70. სკოტლენდ-იარდი; 71. პარნასი; 72. კურსი; 73. 'იუვენტუსი"; 74. დოტაცია; 75. დიოსკურია; 76. კრიკეტი; 77. ფარმაცევტი; 78. სკა; 79. რიფი; 80. სიასამური; 81. მლაშე; 82. რაუტი; 83. დი; 84. ელია; 85. სპარტაკი; 86. იმპორტი; 87. სტოკერი; 88. ლომონოსოვი; 89. ბარტ; 90. ოტია; 91. იქთიოლოგია; 92. ტირე; 93. კანაპე; 94. ვალსი; 95. სანელებელი; 96. ბიგმაკი; 97. კისტა; 98. ოსტატი; 99. დიორი; 100. აურზაური; 101. დიაცი; 102. ვასაკა; 103. დენ; 104. კრისტელი; 105. იარდი; 106. ელი; 107. გრუნტი; 108. აკელა; 109. მარხილი; 110. მატა; 111. მულატი; 112. ლიონელ; 113. აკაკი; 114. რადიო; 115. მანაგაძე; 116. არა; 117. კიტელი; 118. დანელია; 119. ენია; 120. აიაზმა; 121. აბელი; 122. მახე; 123. ოქრო; 124. ორმო; 125. ლილი; 126. კაილი; 127. რენდი; 128. ზოლიანი; 129. ლაიკა; 130. ლოსი; 131. ბროლი; 132. ამიმია; 133. უმა; 134. რა; 135. მოკასინი; 136. ენგ; 137. ალა; 138. ჰალეი; 139. ია; 140. ბაყაყი; 141. აბი; 142. სინი; 143. რაც. იკითხება: ჰელოუინი.

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო ამბები... სანქცერესო

## ერთი დღე დედამიწის ცხოვრებიდან



როცა დღე იწყება:

– ხუთი კონტინენტის, 193 ქვეყნის 7 მილიარდი მოსახლეობიდან ნაწილს სძინავს, ნაწილი იღვიძებს და მხოლოდ 6 მათგანია დედამიწისგან შორს, კოსმოსში.

– ყოველ ახალ დღეს ჩვენი პლანეტისთვის 380 ათასი ახალი სიცოცხლე მოაქვს.

– დაახლოებით 18 მილიონი ადამიანი აღნიშნავს საკუთარ დაბადების დღეს.

– ბედნიერების მიზეზი არ აქვს 9,8 მილიონ, გისოსებს მიღმა მყოფ ადამიანს.



– დღე-ღამეში ცაზე 8,6 მილიონი ელვა ჩნდება. თეორიულად, ამ ელვის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა დიდი ქალაქის განათება.

– დღის განმავლობაში იმდენი ნალექი მოდის, რომ საკმარისი იქნებოდა, მთელი პლანეტის მოსახლეობას 1414-ჯერ მიეღო შხაპი.

– ერთი ხე დღე-ღამეში იმდენ ჟანგბადს გამოყოფს, რომ 2 ადამიანს თავისუფლად ეყოფა.



– დედამიწაზე მცხოვრებნი ყოველდღე მიდიან სამსახურში ან სხვა მარშრუტი აქვთ. ყოველდღიურად გავლილი მანძილის საერთო სიგრძე კი 70 მილიონ კილომეტრს შეადგენს.

– ვახშამზე აზიელი დაახლოებით ერთ ჯამ ბრინჯს ჭამს, ხოლო ევროპელი – მხოლოდ ერთ კოვზს.

– მსოფლიო მასშტაბით ადამიანები დღის განმავლობაში 800 მილიონ ფორთოხალს, 1 მილიარდ ვაშლს და 1,5 მილიარდ ბანანს ჭამენ.

რაც შეეხება შრომას:

– ჩინელები დღის განმავლობაში 510 ტონა ბრინჯის მოსავალს იღებენ.

– ხილის მოსავალი კი, მთელ მსოფლიოში დღეში 1 700 700 ტონას შეადგენს.

– ქათმები 190 მილიონ კვერცხს დებენ და თუ ამ კვერცხებს ერთად შევკრებთ, მათი წონა 110-მგზავრიანი თვითმფრინავის წონას გაუთანაბრდება.

– ასევე, ჩვენს პლანეტაზე ხალხი



ყოველდღე შიმშილობს და ცუდი კვებისგან კვდება.

– დღის განმავლობაში ყიდულობენ 570 ათას ტელევიზორს, 3,4 მილიონ ტელეფონს. 540 მილიონ გაზეთს, 820 ათას გოლფის ბურთს, ხოლო შენაძენებისთვის ფულს 182 განსხვავებული ვალუტით იხდიან.

– დღე-ღამეში ადამიანები 22 მილიარდჯერ უშვებენ ტუალეტში წყალს. წყლის ეს რაოდენობა კი დედამიწის მოსახლეობის ნახევარს ბანაობის საშუალებას მისცემდა.

მოსაღამოვდა, დასვენების დრო მოვიდა:



– შესაძლებელია, მაგალითად, წიგნის კითხვა. არჩევანი დიდია. დღის განმავლობაში 2753 ახალი წიგნი გამოდის. თუ ყველა ახალ გამოცემას ერთ მხარეს დავალაგებთ, ხეოფსის პირამიდას გადაწონის.

– 10.7 მილიონი ინდოელი საღამოს კინოთეატრში უყურებს ფილმს.

– 231 მილიონი ადამიანი საღამოთი სექსით კავდება.

– მსოფლიოში 100 მილიონი ადამიანია, რომელიც გვარად ჩანია. ჩანი დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული გვარია.

– 24 საათის განმავლობაში დედამიწაზე მცხოვრებთათვის მზე ერთხელ ამოდის და ერთხელ ჩადის, მაგრამ არა კოსმოსში მყოფთათვის. მათ დღე-ღამეში მზის 16 ამოსვლა და 16 ჩასვლა შეუძლიათ ნახონ.

***mainfun.ru***

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები...

## google-მა თვითმართვადი ავტომობილი წარმოადგინა



**google**-მა ახალი, თვითმართვადი ავტომობილი გამოუშვა, რომლის კარებიც ბუნების პეიზაჟებით, ჩიტებით, ცხოველებით, ადამიანებითა და აბსტრაქციით არის მოხატული. ავტომობილს არ აქვს მუხრუჭი, გაზი, საჭე, ანუ არაფერი ის, რითიც იმართება. მთლიანად სენსორზეა აწყობილი და აქვს მხოლოდ ჩართვისა და გამორთვის ღილაკი.

საქარე მინა მეტი უსაფრთხოებისთვის პლასტმასისაა. დამონტაჟებული აქვს ეკრანი, რომელიც მარშრუტს აჩვენებს. ავტომობილი ორ ადამიანსა და მცირე ბარგზეა გათვლილი და მისი საშუალო სიჩქარე საათში 40 კილომეტრია.

თურმე შემქმნელებს ჯერ კიდევ 2009 წელს დაუდიათ პირობა, რომ შექმნიდნენ თვითმმართველ ელექტრომანქანას, რომელიც იდეალური იქნებოდა მოხუცებისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ან სამსახურში მეტისმეტად დაღლილი ადამიანებისთვის (საჭის ტრიალი და პედალზე ფეხის დაჭერაც ძალას მოითხოვს). ჰოდა, შეასრულა კიდეც პირობა.

***lenta.ru***

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო

## რა ნივთებია სასტუმროში კლეპტომანებისთვის ყველაზე პოპულარული



ისეთი რა შეიძლება სასტუმროში იყოს, რომ მოპარვად ღირდეს? დივანსა და ჭაღს არავინ გაატანს, მაგრამ ზოგიერთ კლეპტომანს ფლოსტები, ჟურნალები და ჰიგიენური საშუალებებიც კი ულიერთ ქურდობად.

გამოკითხულთა 73 პროცენტი გამოტყდა, რომ სასტუმროდან წასვლისას თან რაღაც აუცილებლად მიაქვს. ნაწილი ამბობს, რომ მოპარული ნივთები სხვა მოგზაურობის დროს გამოადგებათ, ნაწილი სამახსოვრო სუვენირის ქონის მიზეზით ამართლებს ქურდობას, ნაწილს კი, უბრალოდ, მეტისმეტად მნიშვნელოვნად ეჩვენება მოპარული ნივთები.

ყველაზე ხშირად ჰიგიენურ საშუალებებზე ვერ ამბობენ უარს. მეორე ადგილზეა ფლოსტები. ლიდერთა სამეულს საწ-



ერი მოწყობილობები ხურავს. ასევე, პირველ ხუთეულშია კბილის პასტა და ჯაგრისი.

ზოგიერთი, მეტისმეტად გულახდილი სტუმარი გამოტყდა, რომ სასტუმროდან გასვლისას ჟურნალს, ჩაისა და ყავის მოსადუღებელ მოწყობილობას, წიგნებს, ტუალეტის ქაღალდსა და ტანსაცმლის საკიდებსაც კი აყოლებს ხელს.

ეტყობა, პოლონელები უდროო დროს შეწუხებას განსაკუთრებით ვერ იტანენ, ამიტომ გამოკითხულთა 14 პროცენტი გამოტყდა, რომ სასტუმროდან მიაქვს ნიშანი წარწერით – „არ შემაწუხოთ“. ესპანელები ყველაზე ხშირად თმის ფენს ჩურთავენ ჩემოდნებში. ფრანგებს სავარცხლები მიაქვთ სუვენირად. გერმანელები კი თავის მოვლაზე მეტად ცოდნის ამაღლებას ანიჭებენ უპირატესობას და ჟურნალებს ვერ ტოვებენ გულგრილად.

***lenta.ru***

სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო ამბები... სანქცერესო სანქცერესო

## ამერიკელმა 840 მეტრის სიმაღლეზე გაბმულ თოკზე ქუსლიანი ფეხსაცმელებით გაიარა



ნამდვილ ქალს ქუსლებზე დგომა უნდა შეეძლოს და თუ ქუსლებზე კარგად დგას, თოკზეც გაივლის... ალბათ...

როგორც ირკვევა, რიო-დე-ჟანეიროში თოკზე გამსვლელი ქალების ფესტივალი ჩატარდა, რომლის გამარჯვებულიც ვერა დიკი გახდა. დიკიმ მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით პედრა-და-ჰავეას რაიონში ქანებს შორის 840 მეტრის სიმაღლეზე გაიარა. გამარჯვებულის კომენტარი ასეთია – „აღფრთოვანებული ვიყავი ხედებით“. 840 მეტრის სიმაღლეზე რომ ქუსლებით გაივლი ქალი და ხედებით ტკბობის უნარი გაქვს, თავად ხარ აღსაფრთოვანებელი.

კონკურსი პირველად 2015 წელს ჩატარდა და მასში მონაწილეობა მამაკაცებსაც შეეძლოთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტობას კაბით ფეხსაცმელებითა და პარიკით დასთანხმდებოდნენ.

***newsland.ru***



– ხალხო, გაიხედეთ გარეთ, მოჭადრაკეები ტაისონთან ჩხუბობენ!

– ჩვენც მოჭადრაკეები ვართ...

– ჰოდა, გადით მალე, თორემ თქვენიანები სულ ცოტანიღა დარჩნენ!..

*****

– კოტე, მაინტერესებს, რას იტყოდი, ქალს რომ შეხვდე, რომელიც ყველაფერს გაპატიებს, ძალიან კეთილი იქნება, მზრუნველი, უგემრიელეს კერძებს გაგიკეთებდა?

– გამარჯობა, დედა!..

*****

5 სიტყვა, რომელთა წარმოთქმაც ყველაზე, ყველაზე, ყველაზე რთულია:

1. სინქროფაზოტრონი;
2. ფენოლფტალეინი;
3. დიქლორდიფენილტრიქლორეტანი;
4. ტეტრაჰიდროკანაბინოლი;
5. ბოდიში...

*****

სვანმა ლაბორატორიიდან ანალიზის პასუხი მიიღო: „ქილა ვერ გავხსენით!“

*****

– კითხვაზე: „რას საქმიანობ?“ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება გიპასუხონ: „არც არაფერს, ვმუშაობ და ვარ...“

*****

ბედნიერი ოჯახური ცხოვრების 4 აქსიომა:

1. აუცილებელია იპოვო ქალი, რომელიც გემრიელ კერძებს ამზადებს;
2. აუცილებელია იპოვო ქალი, რომელიც ბევრი ფულს შოულობს;
3. აუცილებელია იპოვო ქალი, რომელიც სექსზე უარს არასოდეს ამბობს;
4. აუცილებელია, რომ ეს ქალები ერთმანეთს არასოდეს შეახვედრო!!!

*****

– ქალში მთავარია არა მკერდი, არამედ თვალები! დამიჯერეთ, ქალი თვალების გარეშე ბევრად საშინლად გამოიყურება!!!

*****

– შვილები თუ გყავთ, კოტე ბატონო?

– კი, როგორ არა – 8 შვილის მამა ვარ, თავად ბატონო!

– ყოჩაღ! ეტყობა, ბავშვები ძალიან გიყვართ, არა?

– როგორ გითხრათ... ალბათ, ბავშვის კეთების პროცესი უფრო მეტად...

*****



საავადმყოფო. უროლოგიის საოპერაციო. მაგიდაზე პაციენტი წევს, ნარკოზი უკვე გაკეთებული აქვს. შემოდის მთავარი ქირურგი დაბანილი ხელებით.

– მედდა, თუ შეიძლება, სასქესო ორგანო გაასწორეთ... ჰმ, ახლა პაციენტს, გეთაყვა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

555 125 770; 596 777 773

## მითები ხილის შესახებ

**მითი №1: ხილს შევჭამ და გავხდები**

– როგორ იმედებსაც არ უნდა აძლევდეს ასეთი ფიქრი წონაში დაკლების მსურველებს, სამწუხაროდ, ხილის გემრიელი დიეტებისას კილოგრამები თავის ადგილზე რჩება, თუმცა შეიძლება შედეგი საპირისპიროც კი იყოს – ადამიანი კიდევ უფრო დამძიმდეს.



ხილი სასარგებლოა, კი ბატონო, მაგრამ მათ აქვთ ან მაღალი გლიკემიური ინდექსი (მაჩვენებელი, რომელიც გვკარნახობს, რა სიჩქარით ხდება ორგანიზმში პროდუქტის დაშლა და გლუკოზად გადაქცევა) ან საშუალო და არავითარ შემთხვევაში - დაბალი. როცა ადამიანი მაღალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტს იღებს, შაქრის დონე სწრაფად მატულობს, თუმცა ორგანიზმი ინსულინს გამოყოფს და შაქრის დონე მაშინვე იკლებს. ასეთ დროს თავის ტვინს კვლავ სჭირდება გლუკოზა და შიმშილის სიგნალს აქტიურებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხილის მიღებისას მადა კი არ სუსტდება, პირიქით – ძლიერდება.

შიმშილის გრძნობის მთავარ პროვოკატორებად სპეციალისტები ასახელებენ ყველასთვის საყვარელ: ნესვს, საზამთროს, ანანასს, ყურძენს, გარგარსა და ატამს.

– ამ პროდუქტების დახმარებით წონაში დაკლება არ გამოვა, რადგან ადამიანს მუდმივად ტვინთან ბრძოლა მოუწევს. როგორც წესი, ასეთი შერკინება ადამიანის მარცხით სრულდება, – ამბობენ სპეციალისტები.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ საშუალო გლიკემიური ინდექსის მქონე ხილი შეიცავს არა გლუკოზას, არამედ ფრუქტოზას. რას ნიშნავს ეს? თურმე, ტვინი ფრუქტოზას არ იღებს, მას მხოლოდ გლუკოზა სჭირდება. ტვინი, რომელიც გლუკოზას არ იღებს, ხვდება, რომ ძალიან საჭირო რამ აკლია და საჭმელს უფრო ძლიერად მოითხოვს. შედეგი როგორიც იქნება, კი მიხვდებოდით თავად.

**მითი №2: ანანასი ცხიმის მტერია**



– მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ანანასი ცხიმის მტერია, მხოლოდ და მხოლოდ მითი ყოფილა. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ანანასი ფერმენტების კომპლექსს შეიცავს, რომლებიც შლიან არა ცხიმებს, არამედ პროტეინებს, ანუ ცილებს. როგორც კი ადამიანი ანანასს კბეჩს, ტუჩებზე მაშინვე უცნაური შეგრძნება უჩნდება. სწორედ ეს ყოფილა ფერმენტების ზემოქმედება – ისინი ჩვენი ლორწოვანასა და კანის ცილებს შლიან, აი, ცხიმს კი გვერდს უქცევენ. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც გითხარით, ანანასი მაღალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტია.

**მითი №3: ხილის წვენები სასარგებლოა**

– ხილის შეცვლა წვენებით, რომელიმე კომპანიის მიერ იქნება ის წარმოებული თუ ადამიანის მიერ საკუთარი ხელით გამოწურული და მტკიცება, რომ ცვლილება საგრძნობი არ იქნება, დიდი შეცდომაა. ხილის წვენი - ეს არის შაქრის ხსნარი. არავითარი ვიტამინი ადამიანს არ შეხვდება, რადგან სასარგებლო ნივთიერებების 90 პროცენტი კანში შედის, რომელიც როგორც წესი, წვენის მომზადებისას არ გამოიყენება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი სინამდვილეში თხევად შაქარს მიიღებს და არა სასარგებლო და საჭირო ვიტამინების კომპლექსს.

ჰო, რაც მთავარია, თუკი ადამიანი არჩევანს პაკეტირებულ წვენზე შეაჩერებს, შაქარი ორმაგი დოზებით შეხვდება.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***kazakh-zerno.kz***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**13 ნოემბერი:** ეტყობა, ცვლილებები მოგინდებათ. შეგიძლიათ, ნებისმიერი რამ შეცვალოთ, გარდა ერთისა – პირად ურთიერთობებს არ შეეხოთ.

**კურო 22.04-21.05**

**13 ნოემბერი:** იმის მიუხედავად, რომ სამუშაო განწყობა არ გექნებათ, დრო ტყუილად არ დაკარგოთ და თქვენი საქმე გააკეთეთ, თორემ გაიკიცხებით.

**ტყუპები 22.05-21.06**

**13 ნოემბერი:** მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ, რა გსურთ სინამდვილეში და მიზნის მიღწევა მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული, ვერავინ დაგეხმარებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**13 ნოემბერი:** თუ ახლობელ ადამიანთან ურთიერთობა გაგიფუჭდათ და სიტუაციის განმუხტვა გსურთ, პირველი ნაბიჯი თქვენ გადადგით, თუნდაც ის იყოს დამნაშავე.

**ლომი 23.07-22.08**

**13 ნოემბერი:** შეიძლება ძალიან ძლიერი, უარყოფითი გრძნობების ტყვეობაში აღმოჩნდეთ. შეეცადეთ, საკუთარ თავსა და გარშემომყოფებს ნაკლები ზიანი მიაყენოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**13 ნოემბერი:** შესაძლოა, რაღაცაზე უარის თქმა მოგიწიოთ, ან საიდანღაც წამოხვიდეთ. განშორება რთული იქნება, მაგრამ აუცილებელი.

**სასწორი 23.09-22.10**

**13 ნოემბერი:** როგორც ჩანს, არცთუ იოლი დაბრკოლების გადალახვა მოგიწევთ წვრილმანი პრობლემების სახით. ამისთვის დიდი ენერგია და ნებისყოფა დაგჭირდებათ.

**მორიელი 23.10-21.11**

**13 ნოემბერი:** გელით რაღაც მოვლენა, რომელსაც შემთხვევითობად ჩათვლით, მაგრამ ეს ასე არ იქნება. უბრალოდ, ამის წინაპირობებს ვერ შეამჩნევთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**13 ნოემბერი:** ყველაფერი, რასაც დღეს გააკეთებთ, არასერიოზული იქნება. ძალიან რომ არ იდარდოთ ამის გამო, ეს დღე მხიარულებასა და გართობაში გაატარეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**13 ნოემბერი:** ნუ შეეცდებით, ვინმეზე წარმოდგენა შეიქმნათ. თქვენი პირადი გრძნობები გონებას დაგიბინდავთ და დიდი ალბათობით, შეცდებით.

**მერწყული 20.01-18.02**

**13 ნოემბერი:** ეს დღე აქტიურ დასვენებას დაუთმეთ, საღამო კი იმ ადამიანების გარემოცვაში გაატარეთ, ვინც გაგიგებთ, რადგან დაღლილობის გამო, ნერვები დაწყვეტაზე გექნებათ.

**თევზები 19.02-20.03**

**13 ნოემბერი:** შესაძლოა, სასიამოვნო გრძნობების ტყვეობაში აღმოჩნდეთ. რეალობაში დაბრუნება არ იჩქაროთ და დღე ტყუილად არ ჩაივლის.

**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**

## მომავლის ანესთეზია: ჰიპნოზი ნარკოზის ნაცვლად



ძალიან ბევრი მეცნიერი და მედიკოსი ამტკიცებს, რომ ოპერაციის დროს საერთო ნარკოზი ადამიანს რამდენიმეწლიან სიცოცხლეს ართმევს. სწორედ ამიტომ, მედიცინა უკვე დიდი ხანია ცდილობს, სერიოზული ოპერაციებისას ძლიერი ტკივილგამაყუჩებლის ალტერნატიული საშუალებები გამონახოს.

– ზოგიერთი სახეობის ნარკოზის ჰიპნოზური სეანსით შეცვლა უკვე დღესვე შეიძლება. მაგალითად, ღვიძლის ბიოფსიისას და ზოგიერთი ონკოპაციენტების ოპერაციისას, – ამბობს სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი დევიდ შპიგელი.

მეცნიერი ამტკიცებს, რომ მედიკოსები ძალიან არასერიოზულად უყურებენ ჰიპნოზს და სულ ტყუილად უწოდებენ მას შარლატანების მახეს. სინამდვილეში ჰიპნოზი ადამიანს ეხმარება არა მხოლოდ იმაში, რომ ოპერაციის დროს ტკივილი გაუყუჩოს, არამედ ქირურგიული ჩარევისას ექიმებთან მუდმივ კავშირზე იყოს.

თავად სტენფორდის უნივერსიტეტში უკვე იყენებენ ჰიპნოზს, მაგალითად, ბავშვების შარდის ბუშტის კათეტერიზაციისას. კერძოდ, პატარებს აგონებენ, რომ მათ ხელში ჰაერის ბუშტი უჭირავთ და ულამაზეს ადგილებში მიფრინავენ.

როგორც ამბობენ, ასეთი მეთოდი ბავშვებზე შესანიშნავად მოქმედებს.

სხვათა შორის, ცნობილია, რომ ირანელ მედიკოსებს უკვე გამოყენებული აქვთ ჰიპნოზი საკეისრო კვეთისას. ასევე, ბელგიაში 2003 წელს 800-მდე ოპერაცია ჩატარდა მხოლოდ ჰიპნოზის გამოყენებით და ყოველგვარი ნარკოზის გარეშე.

დამტკიცებულია ისიც, რომ ჰიპნოზის შემდეგ, პაციენტები გაცილებით სწრაფად დგებიან ფეხზე, ვიდრე ეს ნარკოზის შემთხვევაში ხდება.

***lifeukr.net***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ახალგაზრდა მამაკაცი აფთიაქში შევიდა:

– ერთი პრეზერვატივი, თუ შეიძლება.

აფთიაქარი:

– მხოლოდ ერთი?

ახალგაზრდა დაფიქრდა:

– პრინციპში, დაც მაგარი ჰყავს - ორი იყოს!

კიდევ დაფიქრდა:

– არა, დედამისიც მომწონს... სამი ცალი მომეცით...

მივიდა საღამოს მეგობარ გოგოსთან, ვახშმობენ, მაგრამ ყმაწვილი პომიდორივით წითელი ზის, ხმას ვერ იღებს. როცა ჭამას მორჩნენ, გოგონასთან ერთად ოთახში განმარტოვდა:

– რა მოგივიდა, რატომ ერთი სიტყვა არ თქვი მთელი საღამო? რამე მოხდა?

– არა, არაფერი მომხდარა, უბრალოდ, არ ვიცოდი მამაშენი აფთიაქში თუ მუშაობდა...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: ააკდემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.45